63

ქართველი ერი

ალმანახი № 1.

შინაარსი: გრიგოლ ვოლსკი.—ქუჯის ციხე, ლექსი **დ. თომაშვილისა.**—მელია-სერეჟენია, **ვაჟა-ფშაველასი.**—ყვავილი, ლექსი **ი. გრიშაშვილისა** — გიმნაზია თუ სამეურნეო სასწავლებელი? **ვ. წ.**—ხავერდის კაბა, მ. **ა.**—მთის არწივი შამილი, **ა. ფრონელისა.**—ნ. ხიზანაშვილი, **გ. ყიფშიძისა.**—ნეკროლოგი, **ვ. დ.**—ერის უფლება, Bàton-**ისა.**

11 ოქტომბერი 1909 წ.



გრიგოლ ვოლსკი.

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია;
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია".

ქართველ მოღვაწეთა მცირე გუნდს კიდევ მოაკლდა ერთი წევრი,—გარდაიცვალა გრიგოლ ვოლსკი. ყოველი ადამიანი, რამდენადაც ძლიერი ბუნებისაც უნდა იყოს, საჭიროებს ისეთ საზოგადოებრივ განწყობილებას, სადაც მას ახალისებენ, ამხნევებენ, სადაც მისი ძალა ჰპოებს დაფასებას, საზრდოს და შემოქმედების წყაროს. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ისეთ მდგომარეობაში ჩავარდით, რომ ბევრი ქართველი თავის შთამომავლობასაც მალავს, არამც თუ აშკარად საზოგადო მოღვაწეობას ერიდება. ამ ასი წლის განმავლობაში მთელმა ქართლ-კახეთმა გვარებიც გადიკეთა, ალბად იმ აზრით, რომ ეჭვი არავინ შეიტანოს მათ ქართველობაში. საზოგადო ასპარეზი ჩვენ ცხოვრებაში დაიცალა და პირველი ადგილი მოხელეებმა დაიჭირეს. ასეთ დროს, როცა ირგვლივ გულ-გრილობა და ხასიათის დაცემულობა გამეფებულა, როცა აშკარა ლაპარაკიც კი შეუძლებელი გახდა, სწორედ იშვიათი, სანატრელია ისეთი ტიპის ადამიანები, როგორიც იყო განსვენებული გრიგოლ. მუდამ საზოგადო აზრით მცხოვრები, მუდამ საზოგადოებრივ მისწრაფებათა მატარებელი, მუდამ აღგზნებული მოტრფიალე ჩვენი განვითარებისა, გატაცებული და მოხარული, როცა რაიმეს საკეთილოს დაინახავდა ჩვენში, გულ ნატკენი და შეწუხებული, როცა ჩვენ სიგლახეს ხედავდა. აურაცხელ მელათა და ქვემძრომა შორის მუდამ პირდაპირი და გულ-ახდილი, უშიშარი და შეუპოვარი, სადაც სხვები სდუმდენ, მტერთან მებრძოლი, მოყვარესთან გულის გამთბობი, გამამხნევებელი და სულის ჩამდგმელი—აი ვინ იყო გრიგოლი.

ადამიანს ერთი დიდი ნაკლი აქვს. ის ყოველთვის ცდილობს თავის დაბეჩავების მიზეზი თავის თავის გარეშე ეძებოს და ამით თავი იმართლოს. მართალია ჩვენი ცხოვრების პირობები აუტანელია, მართალია, ჩვენ შემოქმედებით ძალას და საზოგადოებრივ ცხოვრებას ყოველ მხრივ ფრთა ეკვეცება, მართალია, ამ გარემოებას საერთო დაკნინება, საზოგადოებრივ ინტერესისადმი გულ-გრილობა და წვრილმანი კინკლაობის ჟინი მოჰყვა, მაგრამ ისიც მართალია, რომ დიდი წილი ამ ჩვენ დაძაბუნებაში ჩვენვე გვიძევს. ქედი მეტად მოვიხარეთ, მეტად თავი დავიმცირეთ და ჩვენის ღირსების და ვინაობის დაცვის მაგიერ, გუნდრუკის კმევას შევუდექით. გათამამდენ ჩვენი ორგულნი, წამოყვეს თავი შავმა ძალებმა და ბოლოს იქამდისაც მივიდა საქმე, რომ არამც თუ აწმყოს და მამავალს გვისპობენ, ჩვენ წარსულსაკ უარყოფენ. ვინ ხართ, რა ხართ?—მოწყალების შემცქერალნი, მეტი არაფერიო. მიიხედმოიხედავ, სად უნდა პოვო შენი ვინაობის დაცვა? წარსული სდუმს, როცა მას აწმყო პატივისცემით არ ეპყრობა, როცა მთელი საზოგადოებრივი ჯგუფი[illegible] განზე დგება, და[illegible] აი ასეთ დროს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ რამდენიმე პირი დარჩენილა, რომელნიც კიდევ ინახვენ წარსულის პატივისცემას, რომელთაც სწამთ თავისი მომავალი, აფასებენ თავის ვინაობას და ამით ეუბნებიან საძაგნათ გამზადებულ ყორნებს: შესდეგით, აჩქარებულხართ! ჩვენ ღირსეულად გვიცოცხლია, ვცოცხლობთ და ვიცოცხლებთო! და მართალიცაა! სცოცხლობს გრიგოლი! ის მუშაობს მომავლისთვის, იგერიებს მტერს სიტყვით თუ კალმით, ამხნევებს მოყვარეს სიტყვით თუ კალმით, აარსებს კულტურულ დაწესებულებას, სადაც ცდილობს მომავალი აღზარდოს, ცდილობს გაღვიძოს თავის თანამოძმეებში თავის ვინაობის პატივისცემა, სამშობლოს სიყვარული და ადამიანობა, ცდილობს თავი მოუყაროს მათ და შექმნას ძალა ერთობისა. ის არის პიროვნება, ძლიერი ხასიათით, ძლიერი საზოგადოებრივი აზრით, რომელთანაც იმედი გეღვიძება, მუშაობა გენატრება, ფრთა შეგესხმება. იყავი, გრიგოლ, შემდეგაც ქართველთა ხსოვნაშიაც ისევ წარჩინებული ქართველი, ფხიზელი მოქალაქე, გულ-ღია ადამიანი! დეე, მოგბაძონ შენ შენმა მოძმეებმა და მრავლად ირჩიონ ის გზა, რომელიც შენთვის ისე ეკლიანი იყო.

ქუჯის ციხეზე

მდინარეს პირად ამოდ მფრინავი
გრილი ნიავი მეალერსება,
სევდით მომითხრობს სამშობლოს ამბებს
და მით მეც გული ჭმუნვით მევსება.
თვალწინ მიდგია ლიხი, გადაღმით—
დედა-ქალაქი, მისივ სიონი,
უკნით კი დამცქერს მარად გულ ცივი
ყინულ-მოსილი კავკასიონი.
ჰოი, კავკასო, მადლი თუ ჰქენი,
რატომ მარილიც არ მოაყარე
რაღა ერთ ადგილს საბედისწეროთ
ჩემი მტარვალი გადმოატარე?!
თუ შენ გეგონა, რომ საძმა-ძოყვროთ,
კავშირ მაერთად გადევი ხიდი? —
წაგიხდა, ვაჟო, ნაფიქრ ნაზრახი
და ჩაიდინე შეცდომა დიდი!...
მაგრამ რას აქნევ შენ ჩემს ტკივილებს?...
ჰე, დასტკბი ჩემის უბედურებით!
მე რით მოგიზღო სამაგიერო,
თუ არა მსგავსი საყვედურებით!..

*
* *

მწარ საგონებელს მივეცი თავი:
ერის ძალ-ღონე როს განახლდება...
აველ მთის წვერზე „ფიქრთ გასართველად“,—
მაღალ ადგილას სულიც მაღლდება.
იქ, ნაპრალიდან, შორით-შორს სჩანან
ჩემი ქვეყნისა ველნი, არენი,
ჰიპპუს *), ფაზისი, ტეხურ-აბაშა—
ცელქათ ჩუხჩუხით მომდინარენი.
ოცნება, არსთან შეზავებული,
ხშირად შორს მჭვრეტი ვარსკვლავი, მზეა:
აგერ ჩემ თვალ-წინ გადაიშალა
სიცოცხლით სავსე ქალაქი ეა!..
ზღვათა სივრცეზე ნავთა სრიალი,
მოგზაურობა უცხო ერების,—
ნიშანი ჩვენთა ძველთა რაობის—
კოლხთა დიდების და ძლიერების!..
უცხო შენობა არეას ტაძრის,
ცეცხლ-მფრქვევი ხარი, მხმილავი მისი,
იქვე კი განძი რამ ულეველი—
ხეზე ჰკიდია ოქროს საწმისი!...
ეტლს მოაგელვებს მეფე აეთი,
შეფოლადებულ-შენაჭედია;
აგერ მცენარეთ ესაუბრება
გრძნეული ქალი — ტურფა მედია!..
და, საამქვეყნოს აღარ დამჯერე
მცოდნე ქურუმი ვარსკვლავებსა ჰკრებს,
ცაში კითხულობს მსოფლიოს ამბებს
და კოლხიდის ბედს ზეცით განაგებს!..
იქით ისწრაფის ჩემი გრძნობაცა,
რაკი ერთხელვე აზვავებულა;
აქ განათლება პირველ-შობილა,
აქ ხელოვნება აყვავებულა!...

*
* *

აქვე მომესმის ხმა ერთობისა:
ფარნავაზ, ქუჯი შეერთებულან,
და სამშობლოს ხსნის მძიმე უღელში
განუყრელ ძმებად ერთად შებმულან.
აბჯართ ჩხარუნი მათ გულის ნადებს
ეხმატკბილება, ბანს ეუბნება;
მკვეთრი ისარიც ძალზე მოზიდვით
ჰაერსა ტყორცნით ეზუზუნება;
შეკავშირებით ძალ-მოკრებილებს
გულს ცეცხლ-მოდებულ მამულიშვილებს
საერთო მიზნის მისაღწევ შრომას
ვერარა ძალა ვერ გაუწბილებს!...

*
* *

ნუ თუ ვერ ვნახოთ კვლავ ის ერთობა,
რომ გვიანდერძეს ფარნავაზ, ქუჯმა,
და ჩამიაროს მეცა ამაოდ—
როგორც ამბობენ - ოცნებამ ფუჭმა!

*) ცხენის წყალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

67
ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ წარსული როდი მოფხვრილა,
ამასა მოწმობს ირგვლივ მთა-ველი
და თვით ნაგები გასაოცარი—
უტყვი, მეტყველზე მრავლის მეტყველი!
თვით ქუჯის სული ამ არე-მარეს
ზე გადმოჰყურებს, თავს დასტრიალებს,
წინ იყურება, თვისა აწმყოში
ვერა, ვერ ხედავს შესაფერ ძალებს!..
მეცა, ამ ჟამად კოშკზე მდგომარეს,
თუმც ეჭვნი გულსა მიმარწუხებენ,
და ჩემს კითხვაზე კლდენი დუმილით,
კოშკნი გულ ჩათქმით მიპასუხებენ;
მაგრამ... ამ ჟამად!.. სამომავლისოთ
თითონ თავდებობს ჩვენი წარსული...
და, ვარამ-ცდილი კავკასიონით,
იქ ჟამიერად ნეტარობს სული! .

დ. თომაშვილი

მელია-სერეფენია.

I.

პატარა დაობლდა, მაგრამ არც ისე პატარა იყო, საზრდოს მოპოვებას არ შესძლებოდა. იჭერდა თაგვებს, კალიებს და ბრიყვ ჩიტებსაც-კი. დარჩა მარტოდ მარტო მამა პაპეულ სოროში. მშობლები ერთის თთვის განმავლობაში დაეხოცა: დედა მისი დაიჭირა პრასიანელმა ქიტესა ჩახმახაშვილმა ხაფანგით; მამაც სამის კვირის შემდეგ დაიკარგა უკვალოდ, უნიშან-გერშოდ,—ცამ უყო პირი თუ დედამიწამ, არავინ იცოდა. ბევრჯელ უტირნია სერეფენიას სოროში მოკუნტულს, თუ სადმე ჯაგის ძირას,—გოხებში ლოდებს შუა გატრუნულს. არავინ მოეპოვებოდა საწყალს ნუგეშის მცემელი: ბიძაშვილები შორს იყვნენ გაფანტულნი, ყველა თავის საქმეს მისტიროდა. მხოლოდ ერთხელ ქეიდა შეჰხვდა: დიდად მიუსამძიმრა, თვალებიდან ცრემლებიც-კი წაიწმინდა; დისწულს ერთი ტოროლაც კი უფეშქაშა. ანუკეშა, დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ეცხოვრნა და შიშშილით არ მომკვდარიყო, მტერს ხელში არ ჩავარდნოდა.

სერეფენიას ძლიერ ეწადა თან გაჰყოლოდა ქეიდას, მაგრამ არ შეეძლო ჩვეულების დარღვევა: ყოველი მელა თავისთვის დადის, თავისთვის ნადირობს; მელიას ძალიან ეზარება სხვას გაუზიაროს თავისი ნადავლი, ნანადირევი. ხოლო სხვის ამაგზე კი ხარბად თვალი უჭირავს. დედაც თავის შვილებს დიდხანს არ ინახავს თავისთან, მალე მოისხლეტს, მოაშორებს ძუძუს, საკუთარის შრომით, მეცადინეობით აჩვევს საზრდოს მოპოვებას.

ქეიდა გამოემშვიდობა თავის დისწულს, მელურად მიუალერსა: გადუკოცნა თვალ-პირი, თავზე თათი გადაუსვა. „ყოჩაღად მოიქეც, ყოჩაღად!“ უთხრა უკანასკნელად და კაუდგა თავის გზას.

ქეიდის ნახვამ სერეფენიას დაკარგული მშობლები მოაგონა, დაღონდა, ატირდა. დიდხანს დარდს თავს არ აძლევდა. მაინც და მაინც ყოჩაღი გოგონა იყო: ენა და გონება მახვილი, ცბიერი და მატყუარა, მოხერხებული,— ისეთი ოსტატი, რომ ერთხელ ერთი მწევარი ატირა და აყვირა სერეფენიამ; შეარცხვინა ტოლ ამხანაგებში და სასაცილოდ გახადა. ერთხელ თავის სოროს შორი ახლოს დაცუცუნებდა სერეფენია ქალი და ამ დროს საიდღანაც მწევ რ მეძებრებით მონადირე გაჩნდა, დაინახა სერეფენია და მაუსია მწევრები. ცოტა გასწედა, სერეფენია კინაღამ გაბაწრეს, იღბლად თავის სოროში, მის ციხე-დარბაზში, შეასწრო და იქ მოაფარა თავი. ერთი მწევარი გახელებული თან შეჰყვა, უნდოდა მელა სოროდან გამოეთრია, მაგრამ ვერ მივართვი! სერეფენია კუთხეში მიიმალა ისე რომ თვითონ თავისუფლად შეეძლო მოძრაობა და მწევარს კი უბების დაძვრაც კი ვერ მოეხერხებინა გვერდიდან ტუჩზე ბრჭყალი ჩამოჰკრა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ტუჩი ჩამოაღადრა. მწევარმა დაიყვირა და ტუჩ სისხლიანი გამოვარდა გარეთ. სხვებმაც ვედარ გაბედეს შიგ შესვლა: სორო გარედან თუმც განიერი იყო, მაგრამ შიგნით კი თან-და-თან ვიწროვდებოდა, მწევარი ვერ შეეტევოდა; გაწბილდა მონადირე, გაწბილდნენ ძაღლები და თავის სირცხვილს და ჯავრს ცხვირ გახეულ მწევარზე იყრიდნენ, დასცინოდნენ: ერთმა წუწკმა მელამ ეგრე როგორ გაგაჯუღურაო.

II.

დიაღ, ქეიდას წასვლამ ფრიად დააღონა სერეფენია. „ეჰ“, სთქვა მან: „რა ვქნა, მადლობა ღმერთს, ვიცხოვრებ, როგორც იქნება“. შედგა ერთს ქუდურზე (სერზე), დაუყუნთდა. მოწმენდილი ცა და ცხრა თვალი მზე თავზე დაჰყურებდა. მის წინ გადაიშალა თვალ-გადუწვდენელი მინდორი, ხშირის და მაღალის ბალახით დაფარული, მარჯვნივ სერები მისდევს, მარცხნივ კურუმი ტყეა. შიგ და შიგ ჭაობებიც არი. იქ ბევრი, აუარებელი დალლა იცის. ამ სანახაობამ სერეფენიას გუნება გაუხსნა. შუა მინდორზე მდინარე მიიკლაკნება; მის ორივე ნაპირს, როგორც გაწყობილი, გაწკეპილი ჯარი, მისდევს თან სადარაჯოდ წყება-წყებად მინდვრის ლერწამი. ნიავის შებერვაზე ერთი მეორეს ეხახუნება, აწვება და ისეთს ხმას გამოსცემენ თითქოს მართლა ლერწმები ჯარის კაცები იყვნენ და აბჯარს აჟღერებდენ. მერე რამდენი იხვი იცის იქა! ბევრჯელ უნადირნიათ სერეფენიას და მის დედას ამ ლერწმიანებში, ბევრჯელ უდარაჯნიათ აქ იხვებისათვის. ბევრჯელ ლერწმის ფოთლების შრიალი ისე მოეჩვენათ, თითქოს იხვის გუნდმა გადაუარათ თავზე. მოაგონდა სერეფენიას ერთხელ მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა დედამ რომ იხვი დაიჭირა. ოჰ, რა მსუქანი იყო! მოაგონდა ნადირობის სურათი: წინ სერეფენიას დედა მიუძღვებოდა, ფეხ აკრეფით, ფრთხილად, უკან სერეფენია მისდევდა. „დაიმალე, დაწექი!“ წასჩურჩულა დედამ. სთქვა რა ეს, დედა დაწვა,—როგორც ლავაში თონეს, დედა მიწას ისე გაეკრა. სერეფენიამაც იმას მიჰბაძა. რა იყო? რა მოხდა?

„ვერა ჰხედავ? ეუბნებოდა ჯავარ-ქალი სერეფენიას: დაინახე?“ სერეფენიამაც თვალები დააცეცა გაღმა მდინარის ნაპირს და დაინახა იხვების გუნდი ერთი მამალი იხვი, მწვანედ, ყვითლად და მოწითალო ბუმბულით აჭრელებული, გამოერჩია გუნდიდან და წამოვიდა იმათკენ. ზურგი სერეფენიას და ჯავარ ქალს მიუბრუნა, ხოლო თვალი ისევ თავის ამხანაგებისკენ ეჭირა. ჯავარ-ქალი, სერეფენიას დედა, უფროც დაინაბა, სერეფენიამაც იმას მიჰბაძა. იხვი იკეკებოდა, იბერტყებოდა, ყელს იღერებდა, არსაიდან არაფერს შიშს არ მოელოდა. სწორედ ამ დროს ჩალიანიდან გადუხტა ჯავარ-ქალი. იხვი ადგილობრივ გააკავა. სხვა იხვები აიშალნენ, შექმნეს ყვირილი. გაისმა მაღლა ჰაერში, „ყვიტ, ყვიტ, ყვიტ!..“ სწყევლიდნენ და ჰკრულავდნენ ჯავარ-ქალს, რომ ამხანაგი მოაშორათ...

დედამ კისერ-მოგრეხილი იხვი დაუგდო სერეფენიას წინ და უთხრა: ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსო. სერეფენიას ძალიან გაუხარდა იხვის დაჭერა. დიდ ხანს უალერსა, ხან თათსა სცემდა და უსვამდა ტანზე და თავზე, ერთხელ თუ ორჯელ კბილი ჩასჭიდა კისერში და გაარბენ-გამოარბენინა; მერე დააგდო დაბლა, თავად ჩალაში დაიმალა და იქიდან გადმოუხტა და პირი სტაცა. სერეფენია ვარჯიშობდა, დედასა ჰბაძავდა.

III.

აგერ იმ სერებმა აუარებელი გნოლი და კაკაბი იცის. იქაც რამდენჯერ უნადირნიათ. ცხადად ჰხედავს სერეფენია იმ გორის ფხას სადაც მის დედამ ერთი კაკაბი დაიჭირა. ორივენი ლოდებში იყვნენ დამალულები, როცა მთელი კაკბის გუნდი, ერთის ამბით, კაკანით, განგაშით, თითქოს მეფე და დედოფალი მაყრებით, დაფა-ზურნით მოდიანო, შემოეფინა სერს მინდვრიდან დაბრუნებული. დედამ კაკბების გეზი კარგად იცოდა და იმიტომ მოხერხებულ ადგილას ჩუსაფრდნენ. ერთი დიდრონი, მსუქანი კაკაბი, თავ-აღებული, ამაყად გუნდს წინ მოუძღვებოდა, როგორც ბელადი და თანაც ამხანაგებს ხმას აძლევდა: „ნუ გეშინიანთ, გულადად იყავით, მომყევით აქ, მე მომყევითო!“ თვითონაც გულადად იყო საცოდავი, არ იცოდა წინ რა ხიფათი მოელოდა, მინამ ზედ არ წააწყდა სერეფენიას და მის დედას. იმან ვერაფერი გაიგო და ეხლა გვიან და იყო. ჯავარ-ქალმა სწორედ მაშინ სტაცა კისერში პირი, როცა სარდალმა ამხანაგებისაკენ კისერი მოიღრიცა, და გამამხნევებელ სიტყვებს ეუბნებოდა: „მოდით, ძმებო, მოდით ამხანაგებოვო!“.

აგერ ის სახნავი მიწებიც, სადაც ერთხელ დიდრონი, ბებერი სავათი ინადირეს; რამდენი იცინა მაშინ სერეფენიამ!.. როგორ მოეწონა დედის ფანდი და ხრიკი... ჯეჯილში სავათების გუნდი დაინახეს, მწვანე ჯეჯილს ჰკორტნიდნენ, თეთრად როგორც ცხვრები, დადიოდნენ ხნულში. სავათები და წეროები დიდი ოსტატები არიან: დასასვენებლად ტრიალს ადგილს ირჩევენ, საფარი, მისაპარი არა ჰქონდესო და თანაც ყარაულებს აყენებენ განაპირებით, რომ თუ მტერი აჩნდება, გუნდს შეატყობინონ, აცნობონ სიკვდილის მოახლოვება.—„უნდა ერთი სავათი დავიჭიროთ, ერთი სავათის ჯიჯიაც გაგემო“, უთხრა დედამ სერეფენიას.

— ვერსაიდან მიეპარები, დედავ! მისაპარი არსაიდანა აქვს. მიუგო სერეფენიამ. „ი, მიცქირე, მე მოვახერხებ“. სთქვა ჯავარ ქალმა და გასწია გუნდისაკენ. შორიდანვე პირ-უკუღმა მობრუნდა, კუდი ამოიკაუჭა დ იმ რიგად გაიკეთა კუდი, როგორც წეროს და სავათის კისერის. პირ-უკუღმა გასწია სავათების გუნდისაკენ; სავათებმა ვერაფერი ვერ უგრძნეს, არხეინად ჯეჯილს შაექცეოდნენ. გაფხორილი მიდიოდა ჯავარ-ქალი. სავათების მხრიდან რომ შემოგეხედნათ პირველ შეხედვით სავათში ვერ გამოსცნობდით ჯავარ-ქალს. სერეფენია დედას გაფაციცებით ხშირ ბალახში დამალული თვალ-ყურს ადევნებდა.

„როგორ ახლოს მიუვიდა, ვერ უყურებ“, ამბობდა თავისთვის სერეფენია. „დაიცა, გავიზარდო, მეც ეგრე ვიზამ, მეც მოვახერხებ კუდის მოკაუჭებასო“. მართლაც ჯავარ-ქალი საკმაოდ ახლოს მივიდა სავათებთან, ისინი კი ჯერ ყურსაც არ იბერტყავდნენ, მაგრამ ბოლოს თავი მაღლა აიღეს, ბალახის კორტნას თავი ანებეს და ახლად მომავალ სტუმარს მიაპყრეს თვალი და გონება, იგრძნეს საშიშროების მოახლოვება. ჯავარ-ქალმა შეატყო სავათებს, რომ იგი ეუცხოვათ და გაფრენა დააპირეს. ჯავარ-ქალმა ისიც იცოდა რომ ვერ აასწრობდენ, იმდროს შემოტრიალდა, პირი მიიღო სავათებისაკენ, თავის ვინაობა გამოამჟღავნა და დოსტოღრივ გაექანა სავათების გუნდისაკენ. და ვიდრე ისინი მიწას ასცილდებოდენ და მოასწრებდენ დიდრონი ტანის ალახლახებას, იგი უკვე იმათ წრეში ტრიალებდა. ბევრი აფრინდა. ერთს სავათს სწვდა, ის იყო კი მიწის პირს აცილა ტანი სავათმა, და ჩამოათრია დაბლა. მეტიც არაფერი უნდოდა. სერეფენიას სიცილის დრო აღარა ჰქონდა, დედის მისაშველებლად გაექანა ისიც. მეტის მეტად მოეწონა დედის ოსტატობა... ჯავარ-ქალი უკვე სავათს მოათრევდა, ისიც შვილისკენ მოესწრაფებოდა სახე გაბრწყინებული.

— ხომ დამინახე? ჰკითხა მას ჯავარ ქალმა.

— სულ ყველაფერი დავინახე. მიუგო სერეფენიამ. უჰ, რა ხერხიანად მოიქეცი, დედილო, მეტი ადარ შეიძლება!... სთქვა კვალად სერეფენიამ.

ჰო და შენც ეგრე უნდა მოიქცე. უნდა ისწავლო სადირობის წესი. უთხრა ჯავარ-ქალმა: მოდი შენც კბილი ჩასჭიდე ფრთაში, მიშველე, მძიმეა. სერეფენიამაც ჩაავლო სვათს კბილი და ორივემ დაითრიეს სვათი თავიანთ სორფსკენ. მთელი ერთი კვირა კარგ დროებას ატარებდენ.

ვაჟა-ფშაველა.

(შემდეგი იქნება).

ყვავილი

(ვუძღვნი ა. შანშიაშვილს)

როს ჩემს მახლობლად
ბულბული ობლად
ჰანგებს მკვნესარეს უსტვენს, ღიღინებს;
როცა ნიავი,
ცქვიტი, მფრინავი,
გულის წარმტაცად დაჰქრის, სისინებს,—
მაშინ ყვავილი
ობლად აღზრდილი
უცრემლოდ სტირის გოდებს, ქვითინებს!

*
* *

როს ქარიშხალი ზუზუნ-გრიალებს,
ეხლება, ებრძვის მაღალ მწვერვალებს
და ხეს,
ტყეს,
ღრეს,
კლდეს
ლეწავს
და ამსხვრევს,
შხამ-გესლ-მწვავს
ანთხევს.
ჰყეფს, ჰკვნესს, მღელვარებს,
დაძრწის ეული;
ჰქუხს, სწუხს, მძვინვარებს
გააფთრებული,—
მაშინ ყვავილი
წელში იხრება,
სევდით აღვსილი
ცრემლად ღვრება,
დასცქერის მდელოს, თრთოლვით ემთხვევა,
ცის-ნამს იხუტებს... ჰკოცნის ეხვევა
და ამ საზარ ქამს,
ცრემლებს, ციურ ნამს
ბალ-წალკოტს აკმევს... ცრემლად ეფრქვევა!...

ი. გრიშაშვილი.

გიმნაზია თუ სამეურნეო სასწავლებელი?

სწავლის მოთხოვნილება თან-და-თან მატულობს. ყოველ წელს აუარებელი მოსწავლე აწყდება სასწავლებელთა კარებს, მაგრამ მხოლოდ უმცირესი ნაწილი სწვდება მიზანს.

საზოგადო კანონია: როცა მოთხოვნილება იღვიძებს, საშუალებაც აღმოჩნდება ხოლმე. მართალია, დღემდის ყურს არავინ უგდებდა ხალხის გაჭირვებასა და მოთხოვნილებას და, ვისაც თავი უნდა გამოედვა, ის ყრუ იყო და საზოგადო საქმისთვის თავს არ იტკივებდა. პირიქით, კერძო ინიციატივა შებორკილი იყო და არის, და მეტად ძნელი იყო თუნდ პირველ-დაწყებითი სასწავლებლის დაარსება ხეირიანის პროგრამით.

მაგრამ, როგორცა ვთქვით, მოთხოვნილება თავისას არ იშლის და აუცილებელ-ჰყოფს შესაფერ საშუალების აღმოჩენას.

ამ უკანასკნელ დროს ბევრგან აპირობენ პროგიმნაზიების დაარსებას. სამეურნეო სასწავლებელთა დაარსების ამბავი კი ჯერ არ გაგვიგონია. საჭიროა ვიცოდეთ, სასარგებლო და სასიკეთოა თუ არა ასეთი მიმართულება?

სწავლა რომ კარგია, ვინ უარჰყოფს! ვერც იმას ვიტყვით, რომ მარტო ერთ-მხრივი სწავლა იყოს საჭირო. განა საჭირო არ არის ისტორიისა, ფილოლოგიის, ეთნოგრაფიისა, სოციოლოგიისა და სხ. შესწავლა ისე, როგორც ბუნების-მეტყველებისა, მედიცინისა, მეურნეობისა, მექანიკისა და სხ.? დიაღ, საჭიროა ყოველ დარგში გვყავდეს მეცნიერნი და ხელოვანნი. მაგრამ საუბედუროდ სასწორი ცალის მხრით არის გადახრილი. დღემდის ჩვენში თითქმის მარტო გიმნაზიური სწავლა იყო. განვიხილოთ, რა მოგვიტანა ამ სწავლამ?

ჩვენი ინტელლიგენცია გიმნაზიებშია აღზრდილი. შედეგი ის არის, რომ ინტელლიგენციის დიდ უმრავლესობას შეადგენს ჩინოვნიკობა. მცირე, უმნიშვნელო ნაწილია აგრონომებად და ლიტერატორებად. მეცნიერი კი მხოლოდ ორიოდეა.

არ ვიტყვი რომ საჭირონი არ იყვნენ ჩვენთვის ქართველი ჩინოვნიკები, ადვოკატები და სხ. უცხოელს ისევ ქართველი გვირჩევნია: ქართულ ლიტერატურას, ქართულ საერო დაწესებულებათ მაინც გააღონიერებს ნივთიერად და ზნეობრივად. ექიმების საჭიროებაზე ხომ ლაპარაკი მეტია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარ ინტელიგენციას არ შეუძლია ჩაუყაროს საფუძველი ერის ნივთიერ კეთილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეობას. ინტელიგენტთა თაობანი გადავიდენ და ჩვენს მეურნეობას არა თუ სიკეთე არ დაეტყო, არამედ მთლად ძირი გამოეთხარა და დღეს ქრონიკული შიმშილი გვემუქრება განადრურებას. ხალხს სიღარიბეში ხდება სული! და სიღარიბე ხომ მთავარი მიზეზია უმეცრებისა. ხალხი კულტურის გარეშე დარჩა. არც ლიტერატურასა და ხალხს შორის არსებობს კავშირი. ძნელი მოსანახავია ისეთი გაზეთი ან აზნაური, რომ წიგნს ან გაზეთს კითხულობდეს. და, ვიდრე ხალხი არ შეეჩვევა კითხვას, ვერც ლიტერატურა აყვავდება, რადგან მარტო ინტელიგენციას არ შეუძლია ასაზრდოოს ლიტერატურა ვერც ქონებრივის, ვერც ზნეობრივი მხრით.

ორი დიდი ნაკლი აქვს კიდევ გიმნაზიას სამეურნეო სასწავლებელთან შედარებით. ერთი ის, რომ გიმნაზიას ას მოსწავლეში მხოლოდ ხუთმეტი ათავებს, დანარჩენები კი უნაროსი კლასებიდან გამოდიან სწავლა-დაუმთავრებელნი. ამის მიზეზი სქოლასტიური სწავლაა, ბიზანტიური სისტემის მემკვიდრეობა, რომელიც მოსწავლეს უსპობს სრულიად ხალისს, გულს უტეხავს და ხელს აღებინებს სწავლაზე. მაშასადამე, გიმნაზიაში მოსწავლეთა დიდი უმეტესობა საწადელს ვერ ისრულებს და ის მცირე ნაწილიც, რომელიც დიდის ვაღლახით „ათავებს კურსს“, სრულიად ღონე მიხდილი და უმეცარი ჰყოფს თავს უნივერსიტეტში, ამ ოდესღაც მეცნიერების ტაძარში, დღეს კი ბიზანტიურ-გიმნაზიურ დაწესებულებაში. და რომ სტუდენტთა შორისაც ბევრი ვერ ბრუნდება ნამდვილ ცოდნითა და კეთილშობილ მიზნით დაჯილდოებული, ყველამ უწყის.

ამგვარად, პირველი ნაკლი ის არის, რომ გიმნაზია მოსწავლეთა უმრავლესობას მის მაგიერად, რომ ზრდიდეს, გარედ ჰყრის. და ეს „გამოგდებულნი“ არა თუ სასარგებლონი არ არიან, არამედ ყოვლის მხრით მავნებელნი და საზარალონი. ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის.

მეორე ნაკლი კი, პირველთან შეკავშირებული, ხსენებული ბიზანტიური სისტემაა. გიმნაზიური სწავლა ნამდვილი განხორციელებაა სქოლასტიკისა. საქმე ის კი არ არის, რომ მკვდარ საგნებს ასწავლიან, არამედ თვით მეთოდია მკვდარი. განდევნილია თვალხილული სწავლება, დაკვირვება და ცდა, ფიზიკური ვარჯიშობა და საზოგადოდ ყოველგვარი ხალისი. ისტორიას ასწავლიან ისე, რომ მოსწავლეთ სკულპტურის ნიმუშებს არ აჩვენებენ. ფიზიკასაც ისე ასწავლიან, რომ ცდას ათასში ერთხელ თუ გააკეთებენ. გეოგრაფიას ასწავლიან ისე ცუდად, რომ გიმნაზიის კურს დამთავრებულს არ შეუძლია გაიგოს, სად რომელი გრადუსია დედამიწის სიგანის ან სიგრძისა. ბუნების მეცნიერების სხვა დარგებზე ხომ ლაპარაკიც მეტია. უბედურება ის არის, რომ თვით ლათინური და ბერძნულიც არ იციან და ძვირად ნახავთ ისეთ მოსწავლეს, თუნდ მერვე კლასში, რომ თავისუფლად კითხულობდეს ვირგილიუსს. ამიტომ, თუ სიმწიფის მოწმობა, „ატესტატი“ არ აიღო მოსწავლემ, მთელი მისი „სწავლა“ ფუჭად ჩაუვლის. ამგვარად აუარებელი ენერგია და ხარჯი იფლანგება უსარგებლოდ.

სამეურნეო სასწავლებელში კი, თუმცა სრულიად ვერ უარ-უყვიათ სქოლასტიკა, მაგრამ სანახევროდ მაინც არის ბუნებრივი, თვალ-ხილული ეთოდი სწავლებისა. თვით ფიზიკურ მუშაობას მდიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პრაქტიკისა, აგრეთვე თეორიის მხრითაც. მოსწავლე საკუთარის თვალით ხედავს ბუნებას და მის ნაყოფს, უკვირდება მცენარის ზრდას, ცხოველის ცხოვრებას, იკვლევს მიწის ნიადაგს და სხ. თან სხეულსაც ავარჯიშებს მუშაობით. ცხადია, ამ მეთოდით გაწვრთნილი მოსწავლე უფრო მხნე და განვითარებული იქნება ყოველი მხრით. გიმნაზიაში აღზრდილს სიყმაწვილეშივე დაბერებული აქვს გული; სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლეს კი მთელი ენერგია და ხალისი სიჭაბუკისა შერჩება და ნამდვილი, რეალური ცოდნაც მეტი ექნება.

იტყვის ვინმე, რა-ღა ეშველება იმ მოსწავლეს, რომელსაც ისტორიის და ფილოლოგიის სწავლა ემარჯვება და ეხალისება განსაკუთრებული ნიჭის წყალობით და საშუალო სასწავლებელში კი სამეურნეო ცოდნის მეტი არაფერი შეუძენიაო. აი ჩემი პასუხი: სიყმაწვილეში ყველაზე უფრო რეალური ცოდნაა საჭირო, მეტადრე თუ ამ ცოდნას თან ახლავს სიჭაბუკის ხელუხლებლობა, ენერგია და ხალისი. ვისაც ნიჭი ისტორიისა და ფილოლოგიისკენ იზიდავს, ის ადვილად აისრულებს თავის საწადელს, გაუჭირვებლად მოერევა საშუალო სწავლის კურსს და გაიმარჯვებს გამოსაცდელ ეგზამენებზე. მაგრამ დიდი უსამართლობა იქნება ორიოდე ისტორიკოსისათვის ან ფილოლოგისთვის დავღუპოთ აუარებელი მოსწავლე, ე. ი. სული შევუხუთოთ, დავტანჯოთ და დავაბეჩავოთ გიმნაზიურ მეთოდით. დროა აღვიაროთ, რომ გიმნაზია არა თუ არავითარ რეალურ ცოდნას არ ანიჭებს მოსწავლეს, არამედ სჩაგრავს სულიერად, ხორციელად და კაცურ კაცობას უკარგავს.

არ ვიტყვი, რომ კლასიკური სწავლა უსარგებლო იყოს ჩვენთვის. საჭიროა, კულტურისა და ცივილიზაციის ყოველ დარგში გვყავდეს საკუთარი

მუშაკნი, რადგან საზოგადოების განვითარება მხოლოდ ამ პირობით იქნება ბუნებრივი, ნორმალური. ამიტომ აუცილებელია გიმნაზიებიც გვქონდეს. მაგრამ, როგორც ვთქვი, სასწორი ცალი მხრით არის გადახრილი, და ის დარგი წარმოებისა, რომელიც არი საფუძველი ჩვენი ეროვნულ ცხოვრებისა, მეურნეობა, ძველებურ უმწეო მდგომარეობაშია. და რომ საქართველოს, რომელსაც თვით ბუნებამ დაუნიშნა წილად მიწის-მუშაობა, არა თუ საშუალო სამეურნეო სასწავლებელი არ მოეპოება, არამედ თითქმის არც დაბალი, ეს გარემოება კარგს არაფერს მოასწავებს. კმარა, გავახილოთ თვალი, მეტის სიფხიზლით მოვეპყრათ ჩვენს საზოგადო საქმეებს. დროა ვიცოდეთ, რომ მარტო კლასსიკური ცოდნა ვერ გამოიყვანს ერს დღევანდელ გაჭირვებიდან. დროა ბარემ შევეცადოთ და მოვაწყოთ საზოგადო ძალით და ღონით სამეურნეო აღზრდის საქმე. და, თუ საზოგადოებამ ენერგია და შრომა არ დაზოგა ამ ასპარეზზე, ეროვნულ წინსვლის საქმე უზრუნველ ყოფილი იქნება.

ვ. წ.

ხამმრდის ბაბა

ქელეხი გათავდა. ყველანი დაიშალნენ. მარტო პეტრე და მღვდელი ღა დარჩნენ. ღობის იქით, არხის პირას დედაკაცებმა ჭურჭლის რეცხვა გაათავეს, ტომრებში ჩაალაგეს, გლეხის ბიჭებს აჰკიდეს და სოფელში გაგზავნეს. მოხუცი მღვდელი პეტრეს ჯერაც არ შორდებოდა და წამდაუწუმ ჩუმის ხმით ერთს და იმავე ნუგეშს აძლევდა:

— რა ვქნათ, შვილო პეტრე, რა ვქნათ. ყველანი მიწის შვილნი ვართ და დღეს თუ ხვალ მიწასვე მივებარებით.

პეტრე თავ ჩაღუნული სდუმდა. ბოლოს მღვდელიც წავიდა. სკოლის დარაჯი იოსებიც სადღაც გაქრა და დაობლებული პეტრე მარტოთ მარტო დარჩა.

დაბინდდა. სოფელი ცოტა ხნით ახმაურდა, მაგრამ მალე ისევ მიწყდა, მიინაბა, მიყუჩდა. სკოლის პატარა შენობა ბუმბერაზ კაკლების ჩრდილში მიიკუმშა, მიიბნიდა, შთაინთქა. სოფლის ბოლოში ერთი ძაღლი უგემურათ ჰყეფდა, გაღმიდან მეორე პასუხს აძლევდა, ქვევით ჭალაში ჭოტი იძახდა. სერის უკნიდან მთვარე ამოგორდა და სოფელს ვერცხლის ლეჩაქი გადააფარა. ღამის ნიავი კაკლებში დაფუსფუსებდა, ფოთოლს აშრიალებდა, ფრინველს ძილს უფრთხობდა.

იმ დღეს პეტრემ თავისი ახალგაზრდა ცოლი და ერთად ერთი მეგობარი დამარხა. სამი ღამის უძილობით დაღლილი, დარდით გაბრუებული და სევდით დათენთილი კაკლის ქვეშ იწვა და დაკარგულ მეგობარს ესაუბრებოდა. შუაღამე გადავიდა, ყველაფერი შესწყდა: ფოთლის შრიალი, ფრინველთა ჩუჩუნი, ძაღლის ყეფა და ჭოტის ძახილიც. კაკლების ჩრდილში ღამის დუმილი ფეხაკრეფით შემოიპარა და პირქვე მწოლარე პეტრეს საფლავის ლოდივით დააწვა გულზე. დუმილს რაღაც იდუმალი და უჩინარი შიში შემოჰყვა. პეტრემ იგრძნო სიმძიმე სიჩუმისა, წამოიწია, ჩაშავებულ სივრცეს ჩააცქერდა და იქაურობას ყური მიუგდო.

— სოფოს საფლავშიაც ასე ბნელა,—გაიფიქრა და გაჟრჟოლდა, აკანკალდა. წამოდგა და ხელების ფათურით აივნისკენ გასწია. კიბე ძლივს იპოვა, ფეხაკრეფით ავიდა და გაჩერდა.

— იქაც ასეთი სიჩუმეა.—გაიელვა თავში და თვალწინ წარმოუდგა სერზე გაშლილი სასაფლაო, ღრმა ორმო, მის ძირში ხის კუბო და კუბოში გაცივებული, გაშეშებული და სანთლის ფერი სოფო. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა და შიშის ზარმა აიტანა.

— იქაც ასეთი სიჩუმეა... იქაც ასე ბნელა .. ისიც ჩემსავით მარტოა...—უნებლიეთ იმეორებდა პეტრე და მთრთოლვარე ხელით კარებს ეძებდა. ძლივს იპოვა, გააღო, შევიდა, კარი მიიკეტა და კედელს მიეყრდნო. მთვარე მკრთალით ანათებდა თეთრ ლოგინს, შავ შკაფს, სარკეს, პირსაბანს და სამს კედლის სურათს. ოთახში ჯერ ისევ საკმევლისა და სანთლის სუნი იდგა. სოფომ ერთი წელიწადი ძლივს გაატარა ამ ოთახში. აგერ იქ, მარჯვნივ რომ კარებია, მისი პატარა მაგიდა სდგას. სწავლას რომ გაათავებდა, რვეულებს იმ მაგიდაზე დაჰყრიდა და შინაურ საქმეებს შეუდგებოდა. სალამოზე დიდ მაგიდაზე დიდი ლამფა ენთო, სამოვარი დუღდა და სუფთათ ჩაცმული სოფო ჭურჭელს ამზადებდა. თვითონ პეტრე ამ დროს პატარა მაგიდასთან იჯდა და რვეულებს ასწორებდა.

— პეტრე, ჩაი გაგიცივდა.—მოესმა პეტრეს და შეკრთა. სოფო ჩაის ასხავდა. მეორე პეტრე, წინანდელი, ნამდვილი პეტრე სოფოს გვერდით მიუჯდა, ჭიქა მიიდგა და სთქვა:

— დავიღალე.

— გენაცვალოს შენი სოფიკო, უთხრა ქალმა, ხელი გადახვია და აკოცა. ნუ იღლები, ნუ მუშაობ ჩემ მაგივრათ. ჩემ რვეულს მე თვითონ გავასწორებ.

— არა ჩემო მეგობარო, არა. შენ ჩემზე სუს-

ტი ხარ და ჩემზე ნაკლებიც უნდა იმუშავო.

სოფომ მადლობის თვალით გადახედა, გაულიმა და ნელი ხმით უთხრა:

— შენ რომ არა მყავდე, ჩემზე უბედური არსება დედამიწის ზურგზე არ იქნება.

ჩაის სმა გაათავეს. პეტრემ, ნამდვილმა პეტრემ, რომელიც წეღან ჩაის სვამდა, გაზეთი აიღო და ხმამაღლა დაიწყო კითხვა. სოფო გვერდით უჯდა, ყურს უგდებდა და ხელსაქმობდა. პეტრე გაჩუმდა სოფომ ხელსაქმე ხელიდან გაუშვა, პეტრეს მიაყრდნო თავი და თვალები მილულა.

— გეძინება, სოფო? ადე, დავიძინოთ.—ჩუმის ალერსით უთხრა პეტრემ და თმაზე ხელი გადაუსვა. სოფო წამოდგა, ხელი დაიბანა, პირსახე გაიგრილა, თმა გაისწორა, ტანთ გაიხადა, ლოგინში ჩაგორდა, მიიკუმშა, გაინაბა და ჩაიძინა. პეტრე კი ისევ პატარა მაგიდას მიუჯდა და წერა დაიწყო. ერთი წუთის შემდეგ ოთახში აღარც პეტრე იყო და არც სოფო. მაგიდა ისევ თავის ადგილზე იდგა, ლოგინი ცარიელი იყო და ლამფის მაგივრად ოთახს ისევ მთვარის შუქი ანათებდა. პეტრეს გული ამოუჯდა, ტორტმანით მივიდა ლოგინთან და ქვითინით იმ ბალიშს ჩაეხუტა, რომელზედაც იმ დილით სოფოს გაშეშებული თავი იდო. გადაეხვია, ჩაეკონა, გულზე მიიკრა, ათრთოლდა, აკანკალდა და ცივი ბალიში თბილი ცრემლით დაასველა.

ისევ დაიღალა, ისევ მიილულა და ისევ გაბრუვდა.

ლოგინზე ჩამოჯდა და ცრემლი მოიწმინდა. ფიქრობდა:

— სოფო ველარ ნახავს ვერც ამ ოთახს, ვერც იმ მთვარეს, ვერც ამ ბაღს; ველარ ნახავს ვერც აი ამ სარკეს, ვერც იმ პირსახოცს, ვერც იმ კაბას, კედელზე რომ ჰკიდია. ვერ ჩამოიღებს მას, ვერ ჩაიცვამს, ვერ გაივლის და ვერ დამანახვებს თავის გამოქანდაკებულ ტანს... ვერც ამ ლოგინზე წამოწვება, ვერც ადგება . პირს ველარ დაიბანს... ვერ შევა კლასში... ველარც თვითონ იტირებს და ვერც მე მატირებს... ცრემლს ველარ შევუშრობ... ვერ ვანუგეშებ.. ვერ მაკოცებს.. ვერ მომეხვევა.. ვერას დროს! ვერასდროს!

— სოფო!—ამოიკვნესა პეტრემ.

პასუხათ ბაღში ფრინველმა შეიფრთხიალა.

— სოფო!

დუმილი, შავი სიჩუმე, სიბნელე და მეტი არაფერი.

თმა ყალყზე აუდგა. ფეხაკრეფით კარებისკენ გაიპარა, მაგრამ შეტორტმანდა, გვერდზე წავიდა, კედელს მიაწყდა და შეჰკივლა: ხელში სოფოს კაბა მოხვდა, ახალი, სადა, გრძელი და შავი ხავერდის კაბა. ორივე ხელი მოხვია, პირსახეზე მიიფარა და გაშეშდა. კაბას სოფოს სუნი ასდიოდა. ჩუმად ჰკოცნიდა, ეალერსებოდა, ეხვეოდა, გულში იკრავდა და ჩურჩულებდა:

— ჩემო სოფიკო, ჩემო ანგელოზო.. ჩემო მეგობარო, ერთად ერთო მეგობარო .

ალერსით დაითრო, გამოცოცხლდა და პირზე ღიმილმა და ბედნიერებამ შეუთამაშა.

კარგახანს იდგა სულგანაბული და თვალ მილულული. მერე ჩამოიღო, თეთრ ლოგინზე გაშალა, დააწვინა, თვითონ ჩრდილში მიდგა და იქიდგან დააცქერდა. დიდხანს უყურებდა. თავში რაღაც აზრმა გაურბინა. ტახტს მივარდა, ორი მუთაქა აიღო და კაბაში შეაწყო, იქ სადაც სოფოს მუხლები უნდა ჰქონოდა. მერე კიდევ დააცქერდა, გაიღიმა, კამოდი გამოიღო და ფაცი-ფუცით ამოყარა სარეცხი, საცვალი, ძველი ტანისამოსი, ჩითის ნაჭრები, პატარა ბოხჩა, ლეჩაქი, შლაპა. ყველაფერი ლოგინზე გადაიტანა. სახელოებში რაღაც ჩვრები ჩაუწყო, გატენა და გვერდზე გადაუწყო. კაბის შუაგული საცვლებით აავსო, მკერდიც გაუკეთა, გაასწორა, შეღილა: თავის მაგივრად პატარა ბალიში დაუდო, ზედ ლეჩაქი გადააფარა და ისევ ჩრდილში მიიმალა.

ლოგინზე სოფო იწვა; იწვა და ეძინა, ისე ეძინა, როგორც ზაფხულში იცოდა წოლა: სიცხითა და შრომით დათენთილი ხელებს განზე გადაჭყრიდა, თავს გვერდზე მოიგდებდა და რომ ბუზებს არ შეეწუხებინათ, პირსახეზე ლეჩაქს დაიფარებდა ხოლმე.

პეტრეს ჯერ გაუხარდა, პირსახე აუთამაშდა, გაუნათლდა და გაუცოცხლდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ღიმილი მოიშორა, დაფიქრდა და დადინჯდა. სკამი აიღო, სოფოს თავით მიუჯდა და ჩაციებით დაუწყო ცქერა. ასე იჯდა და ასე უცქერდა სამი დღის წინათ, როცა ავათმყოფმა სოფომ ცოტა ხნით მიიძინა, პეტრე კი სწორეთ იმავე ალაგზე იჯდა და ღამე ისე გაათენა, რომ არც თვალი მოუხუჭია და არც ადგილიდან დაძრულა.

— სოფო!—წყნარის ხმით ჩაჩურჩულა პეტრემ და სიჩუმის შემდეგ გაიმეორა:—სოფო! გეყო ძილი, ქალო, გამოიღვიძე, ადე, ჩაიცვი, თორემ კლასში დაგაგვიანდება. გაიღვიძე? დილა მშვიდობისა. აბა, მიამბე, რა ნახე სიზმარში. მე მნახე? თითქო მე და შენ ერთათ მივდიოდით ულრან ტყეში და მე თავი დაგანებე? იქნება სცდები, იქნება შენ დამანებე თავი. დიახ, შენ დამანებე თავი, შენ დამტოვე უგზო-უკვლოთ ამ დაბურულ ტყეში. მერე რათ, რისთვის? რათ დამაობლე, რათ გამიფ-

73

რინდი? განა შენ არ მეუბნეოდი, სამარემდე შენი ვიქნები და თუ შენ ჩემზე ადრე გეწვია სულთა მხუთავი, მეც მეორე დღესვე დაგეწევიო. რაო, რას ამბობ? სხვას იშოვიო! ვის ვიშოვი შენისთანას, ვინ გაიგებს შენსავით ჩემს გულის წუხილს, ვინღა მანუგეშებს, ვინღა დამედება მალამოთ, ვინღა გამინათებს შენსავით ჩაბნელებულ გულს? ვინ? ვინ? ვერავინ, ჩემო სოფიკო, ჩემო ერთათ ერთო და უსწორო მეგობარო, ვერავინ! ვერავინ! რა სთქვი?

პასუხათ სადღაც შორს ძაღლმა დაიყმუილა.

— სოფო!—ამუდარდა პეტრე და ხელში ხელი წაავლო. სოფო! მითხარი რამე, ხმა გამეცი, მანუგეშე და მასწავლე, რა ვქნა მე უშენოთ, როგორ ვიცხოვრო, ვის ვის ვიცოცხლო? დაო სოფიკო, ჩემო ერთგულო დაო, ერთად ერთო ნუგეშო და მეგობარო! ხმა ამოიღე. სთქვი რამე, დაო ჩემო!.

მკვდარმა სიჩუმემ დიდი ხნით დაიბუდა ბნელ ოთახში.

პეტრემ სოფოს მკერდზე ხელი გადახვია, მიიზიდა და ზედ დააკვდა.

— სთქვი რამე, სთქვი! ხმა გამეცი, მითხარი რამე, ნუ ხარ გულქვავი და უსულო, თორემ...

ხელი იღლიის ქვეშ ამოუდო, მიიზიდა და მუხლებზე გადაიტანა.

ერთი მუთაქა ლოგინზე დარჩა, მეორე იატაკზე გაგორდა. ცარიელი კაბა, სადა, გრძელი და კუპრივით შავი ხავერდის კაბა პეტრეს ხელში შერჩა.

ლოგინზე დაეცა, კაბა პირსახეზე აიფარა, გულში ჩაიხუტა, ჩაიკრა და გულნაწყენ ბავშვივით ჩუმის ხმით ტირილი ამოუშვა.

გარეთ ცა მტრედის ფერათ შეიღება. ნიავი ხელმეორეთ ასისინდა, ფოთოლი ისევ აშრიალდა და ფრინველებმა ბაღში ერთი ალიაქოთი და კისკისი ასტეხეს. პეტრე კი ისევ დაობლებულ ლოგინზე იწვა, მკერდში ხავერდის კაბას იხუტებდა და მიცრეცილის ტუჩებით ჩურჩულებდა:

— ჩემო სოფიკო.. ჩემო ერთგულო და ერთათ ერთო მეგობარო!. ხმა ამოიღე.. სთქვი რამე, დაო ჩემო!.. სთქვი რამე.. სთქვი რამე...

მ. ა.

მთის არწივი შამილი.

(ისტორიული ამბავი).

25 მარიამობისთვეს, ამ ზაფხულის მიწურულებში, ტფილისში დაბანაკებულ რუსის მხედრობამ ფრიადის გამოჩინებით იდღესასწაულა ორმოც და ათის წლის თავი გუნიბის აღებისა და შამილის დატყვევებისა. პარაკლისის გადახდით და სამხედრო მხიარულობით კავკასიის ძლევა-მოსილმა ჯარმა განაახლა თვის ხსოვნა-გონებაში მისთვის ის ნეტარხსენებული დღე, ოდეს თვის წინაშე მოახრევინა ქედი ფოლადის გულის კაცს, სახელოვან მთის არწივს იმამ შამილს, იმ შამილს, რომელსაც მამულის-შვილობაში მთელ მეცხრამეტე საუკუნეს ჩვენში სწორი და ბადალი არა ჰყოლია.

დღევანდელი ცხოვრება-ვითარება სადღესასწაულოს არას წარმოადგენს. გული მკვდარია ცხოვრების სიავით, ხოლო სული წამებული და ტანჯული. თუ გამარჯვებულს და გაბატონებულს სამხიარულო არა მოეპოვება რა, დაჩაგრულს და პატივ ახდილს სწორედ თავი აქვს ჩასაქოლი ჟამთა-ვითარების სიდუხჭირისაგან. მიუხედავად ამისა ჩვენი დედა ქალაქი მაინც აჰყვა ჯარის ფეხის ხმას. საღამოს პირზე ტფილისელობა მრავლად მოეფინა მიხეილისა და გოლოვინის პროსპეკტებს, სტკბებოდა საუცხოვო განათებით და პირმცინარი და მხიარული მიიწევდა სახაზინო თეატრისაკენ, რომლის კედლებზე გამოეფინათ სურათი მთავარ-სარდალ თ. ა. ი. ბარიათინსკისა და ფრთა-მოტეხილ, დაღონებულ და დაძმარებულ შამილისა.

I

განა და რა მოხდა ისეთი ამ ორმოცდა ათის წლის წინად, რომ რუსის მხედრობამ საჭიროდ ჩასთვალა ედღესასწაულნა გამოჩინებით, შედლუხითა და ზეიმით, ამ ამბის ორმოცდა ათის წლის თავი?

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს საქართველოს ისტორიამ პირი იბრუნა. პოლიტიკურად გასაძლიერებლად და მოსალონიერებლად ჩვენმა წინაპრებმა მოიპატიჟეს ჩრდილოეთიდან რუსები. მათის აქ მოსვლით ქართველ მეფეთ და სამღვდელოებას ენებათ შინ გლახად წარმოებული საქმე გამოეტრიალებინათ, განმტკიცებულიყვნენ ძალ-ღონით და ევლოთ ისტორიის სარბიელზე ძველებურად, ესე იგი დამოუკიდებლად, ვითარცა ჭკუაგონება გაუჭრიდათ. მოლოდინი არ გამართლდა და ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა.

რუსის მხედრობა მკვიდრად დაბინავდა საქართველოში. ვინც-კი ხმა ამოიღო, თავი გაუპალეს, ან ციმბირის გზა ატკეპნინეს, და ბოლოს ამავე ქართველების შემწეობა-დახმარებით მთელი ამიერ-კავკასია დაიმორჩილეს მოკიდებული შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და დარიალის კარიდან მდინარე არეზამდე. მხოლოდ კავკასიის მთა დიდ ხანს არ

73

იხრიდა ქედს, მედგრად გადაეღობა წინ ბუმბერაზ ქვეყანას ერთი მუჭა მთიელობა და მთელი ნახევარი საუკუნე კოკის პირულად ჰღვრიდა სისხლს. ოღონც-კი შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ძველებური სილაღე. ნელ ნელა იცლებოდა სისხლისაკან ურჩი და ჯიუტი მთა, წელში გასწყდა არისტოკრატული ტომი ყაბარდოსი, შიმშილის პირზე მიდგა საჩაჩნო, საჩერქეზო ოსმალეთს გადიხვეწა, ხოლო ავარიამაც თითი მოიგრიხა. ოცდა ათი წელიწადი იბრძოდა საოცარის მხნეობით შამილი, იმამი საჩაჩნოსი და ავარიისა, ანუ დაღესტნისა, ერთხელ გულიც გაუგმირა რუსის ხიშტმა, ძუძუში დაკრულმა პირი ბეჭებში გაატანა, მაგრამ ბევრჯელ დამარცხებული ხელახლა იკრებდა ძალ-ღონეს და ახალის მხნეობით ეკვეთებოდა რუსებს. ბევრი შავი დღე აჩვენა შამილმა რუსის მხედრობას, ბევრს ვეკაკს აუტირა ცოლ შვილი და დედ მამა. ბევრჯელ ასობით და ათასობით ამოუჟლეტნია რუსის ჯარის კაცნი და ერთხელ თვით მთავარ-სარდალი რუსის მხედრობისა თავადი ვორონცოვი ცოტას გაწყდა კინაღამ ტყვედ არ წაიყვანა.

მეტის-მეტად სძულდა შამილს რუსობა, ისე არ ახსენებდა ამ ქრისტიანე ერის სახელს, რომ ზედ არ დაეყოლებინა „დონღუზი". უპირო და გაუტანელიაო, ამბობდა შამილი რუსებზე, კაცი ვერ ენდობა მაგათაო. მოგატყუებს, გიღალატებს და პირში ჩალა გამოვლებულს დაგტოვებსო. ამისათვის შამილმა აუტეხა რუსებს ბრძოლა ულმობელი და სასტიკი. ასეთი ომი ღვთის მოსაწონი საქმეაო, ამბობდა შამილი. რუსის ხელით მოკლული მართლ-მორწმუნე მოსლემინი პირდაპირ სამოთხეში შევაო, ჰფიქრობდა და ჰქადაგებდა შამილი. რადგან ამაზე დიდ ჯილდოს ადამიანი ვერც-კი წარმოიდგენს, მაშასადამე დღენი თვისი მოსლემინმა რუსებთან ბრძოლაში უნდა დალიოსო, რომ მით მოიპოვოს სასუფეველი და გახდეს ღირსი სამოთხის ნეტარებისაო. აი სწორედ ამ დაუძინებელ მტერს შემოარტყა რუსის მხედრობამ ალყა გარს გუნიბის კლდეზე 25 მარიამობისთვეს 1859 წელს. მთავარ სარდალ თ. ა. ი. ბარიატინსკიმ ბრძანება გასცა—ათას თუმანს ვაჩუქებ ჯილდოს, ვინც შამილს ცოცხალს მომგვრისო. რაღა თქმა უნდა, რომ აკუწულ-აჩეხილი შამილი, ან ხიშტით განგმირული სამხედრო ტროფეად არ გამოდგებოდა. ტყვე შამილი პეტერბურგში ისეთსავე ეფექტს მოახდენდა, როგორც ძველ რომში აზიის სხვა და სხვა მეფენი ტრიუმფატორთა ეტლზე მიბმულნი.

შამილი კარგად ხედავდა კარზე მომდგარ უბედურობას, ხედავდა იმასაც, რომ მისი ბედის ვარსკვლავი მოსწყდა, ციცაბო და სალი კლდენი ველარ დაიფარავდნენ მთის თავისუფლებას. სამღვთო და წმინდა ომში გასწყდა და გაიყლიტა საჩაჩნოს და ავარიის ვაჟკაცობა. სადღაა ლომ გმირნი, წინად რომ მხარს უმშვენებდნენ. აგერ სულ რაღაც 400 მიურიდმა შეაფარა მასთან ერთად თავი უკანასკნელ სავანეს—გუნიბს. რას გახდებოდა ეს ერთი მუჭა თავდადებულ გმირთა ბარიათინსკის აუარებელ ჯართან!

რკინის სალტასავით შემოერტყა რუსის მხედრობა გუნიბსა და ჭიანჭველასავით მიცოცამდა ციცაბო კლდეებზე თოკის კიბეებით. გაბრაზებული რუს-ს მხედრობა დიდის ხნის განუწყვეტელი ომით მარტო ღა ნიშანს—ზარბაზნის სროლას ელოდა, რომ შევარდნილიყო გამაგრებულ გუნიბში და აეკლო უბედური სოფელი, ეს უკანასკნელი ბუდე და სავანე ზვიად არწივისა. შამილმა იცოდა, რომ დანდობით აღარავინ დაინდობდა.

ვინ მიხვდება, თუ რას ჰფიქრობდა კიდევ იმამი საჩაჩნოსი და ავარიისა!

აქ, გუნიბში, რომ დრამის უკანასკნელი მოქმედება იშლებოდა, გუნიბის გარედ, დიდ ქვაზედ დაბრძანებულიყო, არყნალის ჭალაკში, თვით თავადი ა. ი. ბარიათინსკი. გარს ეხეია ბრწყინვალე ამალა და მოუთმენლად ელოდნენ როგორც სარდალი, აგრედვე ამალა, თუ რას იტყოდა გალიაში მომწყვდეული ლომი, ნებაყოფლობით გამოვა სიმაგრედან, თუ ისევ-ისე საჭირო შეიქმნება იერიში და ათასობით კვლავ გაწყვიტა რუსის მხედრობისა.

ა. ფრონელი.

(შემდეგი იქნება).

ნ. ხიზანაშვილი

და

მისი სალიტერატურო მოღვაწეობა.

უნივერსიტეტში კურსის დამთავრების შემდეგ ნიკო სამსახურში შევიდა და პირველად ზანაზურის მაზრაში გაამწესეს, ერთ გადაკარგულ მხარეს, სოფ. გერიუსაში, საცა სომხობა და თათრობა მოსახლეობს. მეორე ცხინვალში გადმოიყვანეს, შემდეგ სურამში გამომძიებლობდა, ახლა თიანეთში გაამწესეს და ბოლოს—ტფილისში. პირველი მისი ნაწერი „დროებაში" დაიბეჭდა 1879 წელს. კორესპონდენცია იყო ცხინვალიდან. თიანეთში ყოფნის დროს მრავლად შეჰკრიბა თვითონაც და სხვასაც შეაკრებინა ფშავური და ხევსურული ხალხური ლექსები. შემდეგ ეს ხევსურული ლექსები წესსა და რიგში მოიყანა, დაწკრილებით განიხილა და ფელეტონებად დაბეჭდა გაზ. „ივერიაში" 1887 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ნაწერის დაბეჭდვის შემდეგვე ნიკო სრულიად ჩაითრია ქართულმა მწერლობამ, მოჰხვია თავისი კლანჭები და სიკვდილამდე ხელიდან აღარ გაუშვა. ასეთია ძალი მწერლობისა, ხელოვნებისა, მეცნიერებისა. მწერლობა, განსაკუთრებით ქართული მწერლობა და მისი სამსახური შეიქმნა ნიკოს სატრფიალო საგანი. რუსული ძრიელ ემარჯვებოდა, მაგრამ რუსულად წერა არ უყვარდა და ისე განვიდა ამ სოფლიო, რომ, თუ არა ვსცდებით, ერთი სტრიქონი არ დაუბეჭდია არასოდეს რუსულად, არც გაზეთსა და არც ჟურნალში. სამაგიეროდ, დიდის ხალისით ეტანებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთობას და საოცარის სიყვარულით ეკიდებოდა ყველას, ვინც-კი ცოტაოდენს ფხასა და ნიჭს გამოიჩენდა სამწერლო ასპარეზზედ. როცა ივ. მაჩაბელი ჯერ ჟურნ. „ივერიასა“ და მერე „დროებას“ ბეჭდავდა, იმისი განუყრელი მეგობარი, გულითადი ამხანაგი ნიკო ხიზანაშვილი იყო. „ვანიჩკა“ და „ვანიჩკა“! სულ იმისი სახელი ეკერა პირზედ; იმას შეჰხაროდა, შესტრფოდა. ვიდრე დ. კუზელიც „დროებაში“ სწერდა, გვერდიდან აღარ ჰმორდებოდა. ყველას გაეგონება, რა მოწიწებით და სიყვარულით ეკიდებოდა ილიას და რა დაახლოვებული, მეგობარი კაცი იყო ნიკო იმისი. ილია, იმის ახრით, ყველაფერი იყო: ჭკვიანი, დინჯი, ნიჭიერი, გენიოსი, ზებუნების კაცი. მცირედს ცუდს თქმას ილიას შესახებ არავის დაუთმობდა და თავ-გამოდებით შეეკამათებოდა. კამათი-კი იცოდა. საზოგადოდ, კარგი მოლაპარაკე იყო, ენა-წყლიანი, ენა-მეტყველი და კამათში მისი დაძლევა აგრე ადვილი არ იყო. დიდად უყვარდა აგრედვე მწერლებში ვაჟა-ფშაველა და მის ლექსებს სულ ზეპირად სწავლობდა. საზოგადოდ, მეტად აღტაცებულ ს ბუნების კაცი იყო, ექსპანსიური, გაბედული, ხუმარა და ოხუნჯი. სადილზედ, მცირე ნადიმზედ დასასრული ა ა ჰქონდა იმის ოხუნჯობას, იმის უწყინარს ქილიკობას. თუ მეტადრე კარგს გუნებაზედ იყო — და ჭამა-სმის დროს მუდამ კარგს გუნებაზედ იყო, — მუცელი უნდა ორთავ ხელით დაგეჭირა, ისე შნოიანად და მარჯვედ ხუმრობდა, მარილიანად მასხრობდა, ნაკვესობდა.

ფულის ხარჯვაში დიდი ფრთხილი კაცი იყო, ჰომჭირნე, ხელ-მოჭერილი; ძენწი-კი არასოდეს. ათასში ერთხელ გაჰმართავდა ხოლმე ნადიმს და სტუმრად სხვებთან ერთად უთუოდ მწერლებს მოიწვევდა, ლიტერატორებს, არტისტებს და ნამდვილს, ძველებურ, ქართულს ლხინს გააჩაღებდა.

იმისი საყვარელი სიტყვები იყო:

სმა-ჭამა, დიდად შესარგი,
დება რა სავარგულიაო.

ანუ კიდევ, როცა შეხვდებოდა მეგობარს, ხუმრობით მოიკითხავდა:

რასა იქ, როგორა ხარ,
რა გიჭამია დღესაო?!

ჭამა-სმა-კი მართლა არც ისე ძრიელ უყვარდა განსვენებულს, როგორც თვითონ აზვიადებდა ხუმრობითა და ამხანაგთა გასართობად.

შესამჩნევია, რომ ზოგვისა და ყაირათის მოყვარულს ნ. ხიზანაშვილს, დიდად მომჭირნეს და ფულის ყადრის მცოდნეს არას დროს არც მოუთხოვია და არც აუღია თავის ნაწერებში არავითარი ჰონორარი, თითქო შეურაცხ-ყოფად მიაჩნდა ფულით დაფასება ნაწერისა, ფულზედ გაყიდვა გონებითა და ჭკუით ნაშრომისა. ნ. ხიზანაშვილს ლიტერატორობა სამშობლო ქვეყნის წინაშე სავალდებულო მსახურებად ჰქონდა დასახული, წმინდა, უანგარო მსახურებად. ამისთანა მსახურებისათვის ფულის აღება ეჩოთირებოდა, ეხამუშებოდა. არც არას დროს გაუხსენებია, ფული მომეცით ნაწერებშიო; მაშინაც კი ცივს უარს ამბობდა გასამრჯელოზედ, როცა რედაქციას მოხერხება ჰქონდა ეძლია ჰონორარი.

ხშირი თანამშრომლობა დაიწყო „დროებაში“ 1883 წლიდან, როცა ეს ყოველ-დღიური გაზეთი ივ. მაჩაბლის ხელში გადავიდა. დაბეჭდა საკმაოდ ვრცელი პუბლიცისტური წერილები „ძველი და ახალი თაობა“ [1]), „ჩვენს ლიტერატურულ კეთილ-წესიერებაზედ“ [2]), „შრომა“ და მისი იურიდიული სიბრძნე“, „მგზავრის შენიშვნებიდან“, „ხმა პროვინციიდან“, „ლიტერატურული მიმოხილვა“ [3]). ამ წერილში განხილულია ჟურნალ „ივერიის“ 5 და 6 ნომრები, „ქართულ ენის შემოღების გამო“ (№ 687). ეს წერილი საყურადღებოა. განხილულია სწავლა-განათლების მდგომარეობა საქართველოში გრაფ ვორონცოვამდე. ქართულს მაშინ პატივი ჰქონდაო, მოხელეთათვის საჭიროდ იყო მ ღებული მისი ცოდნაო. მოჰყავს აზრი პასკევიჩისა ახალგაზდობა აქედან რუსეთში უნდა იგზავნებოდეს, თორემ შეინარჩუნებს ეროვნულს ხ სიათსა და მიმართულებასაო, აგრედვე აზრი სე მიონოვისა, ქართულს ლიტერატურას ხელი უნდა შეუწყოთ, მხოლოდ ვეცადოთ, რომ გარეგნობით იყოს ქართული და სულით-კი რუსულიო. იმავე წელს დაბეჭდა კიდევ რამდენიმე მისი ვრცელი წერილი ფელეტონებად. — სხვათა შორის: „ჩვენი გლეხ-კაცობა და აქციზის საქმე“, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „ეკონომია თუ აგრონომია“ (ახალის გუთნებს გასინჯვის გამო) და სხვ. 1884 წელს შეუდგა თავის პირველ იურიდიულ გამოკვლევას და დაჰბეჭდა 1885 წელს „დროებაშივე“ სათაურით „ძველი ქართული ოჯახი“ [4]). ამ მონოგრაფიაში განხილულია იურიდიული მდგომარეობა ოჯახისა, უფლებრივი ყოფა ცხოვრება დედა-კაცისა ქართულის კანონდებულებითა და ფრიად საყურადღებოა ამ მხრივ ჩვენის იურისტებისათვის.

1886 წლიდან იწყება ნ. ხიზანაშვილის მუდმივი თანამშრომლობა „ივერიაში“. სუბუქსა და საგაზეთო წერილებს სწერდა საკმაოდ ხშირად სხვა და სხვა ფსევდონიმით, უფროკი „Plebs“-ის ფსევდონიმით. ამ ნაწერებს საერთო სათაურად ჰქონდა „მასლაათი“, ხოლო ეპიგრაფად: „საამიყოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სართველად (გასართობად)“. უფრო დინჯი, ჭკუა-დამჯდარი ნაწერები და ისტორიული ან იურიდიული კვლევა-ძიებანი, საეტნოგრაფიო და საზეპირ-სიტყვაო მასალა იბეჭდებოდა „ურბნელის“ ფსევდონიმით.

სუბუქი, საგაზეთო, საფელეტონო და საპოლემიკო წერილები შეეხება სხვა და სხვა წვრილმან საკანს ჩვენის საზოგადო და სალიტერატურო ცხოვრებისას. არა იშვიათად საკნად ასეთის წერილებისა იყო ხოლმე ახალ-წლის და აღდგომის მიგებება ძველად საქართველოში, მეფის კარზედ.

თითოეულს ასეთს წერს ეტყობოდა არა მცირედი ლიტერატურული ნიჭი და კარგი გონებრივი მომზადება. ენა ჰქონდა შნოიანი, ლაზათიანი. ბევრი მისი ფელეტონი, სახელდახელოდ დაწერილი სავსეა ჭკუით, ცხოვრების ცოდნით, გამოცდილებით და ხშირად გარეგნობითაც. საინტერე-

---

[1]) „დროება“ 1883 წ. № 94.

[2]) იქვე, № 99.

[3]) იქვე, № 105

[4]) იხ. „დროება“ 1880 წლისა №№ 2, 3, 5, 89, 92, 96, 192, 193, და „ივერიაში“ 1886 წლისა № 85 და 86.

სოა ამ მხრივ. სხვათა შორის, მისი პოლემიკა არჩილ ჯორჯაძესთან, რომელიც მაშინ სწერდა სხვა და სხვა სოციოლოგიურ საგნის შესახებ „ცნობის ფურცელში“, ხოლო მისი წერილი, დოქტორის სამსონ თოფურიას გარდაცვალების გამო დაწერილი, პირდაპირ მარგალიტია წყობილი, ისეთი წმინდა და ღრმა გრძნობაა შიგ ჩართული და ჩაქსოვილი.

განსვენებულს ძრიელ ახლო ვიცნობდით და თითქმის სტრიქონი არ დაუწერია, რომ არ წაგვეკითხოს და უნდა ვ'თქვათ, სწორედ ყოვლად სიმპატიური საგაზეთო მწერალი და პუბლიცისტი იყო ღრმად შემუშავებულის ეროვნულის მსოფლ-მხედველობით, ნამდვილი ქართველი მწერალი, ქართველობის სულთა-სწრაფვის, სულის-კვეთების ზედ-მიწევნით მცოდნე, მისის გულის ნადების გამომხატველი კარგის, ლამაზის ქართულით. უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ, ჩემდა თავად, ბევრნი არ გვინახავს მისებრ ზედ-მიწევნით მომზადებული საგაზეთო პუბლიცისტიკისათვის, მისებრ მიმზიდველი და სიმპატიური მწერალი. კაცი ევროპიულად იყო განათლებული, ჭკუა და ნიჭი უჭრიდა, კალამი ემორჩილებოდა, რადგან ღრმად მცოდნე იყო ქართულისა, ბუნებით ძალიან მოძრავი და ცოცხალი იყო, გრძნობა სამართლიანობისა სავსებით ჰქონდა შესისხლ-ხორცებული, როგორც კარგად მომზადებულს იურისტს და, ცხადია, რომ ყოველი ეს მისი თვისება ისე იხატებოდა მის ნაწერებში, როგორც სარკეში.

ხოლო უდიდესი დამსახურება ნ. ხიზანაშვილისა, დიდი მისი ღვაწლი სამშობლოს წერლობისა და მეცნიერების წინაშე არის მისი ისტორიული და იურიდიული მონოგრაფიები. უმეტესი მათ შორის დაიბეჭდა „ივერიაში“, ხოლო ორი, სახელდობრ „დავით აღმაშენებელი და იმისი დრო“ და „ჩვენის საეკლესიო ისტორიიდან“ (სამართალი კათალიკოზთა) ჟურნალ „მოამბეში“, 1894 წ. და 1898 წ. № 3. ერთი ისტორიული მონოგრაფია კიდევ „ლიპარიტ ორბელიანი და მისი დრო“, შავად დაწერილი, შეუმუშავებელი დარჩა განსვენებულს და ვგონებ ილია ჭავჭავაძის ქაღალდებში უნდა იყოს ამ ჟამად. მისი მონოგრაფია „გიორგი ბრწყინვალე“ და მისი ძეგლის დება, „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი“ გაზ. „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი და შემდეგ ცალკე წიგნადაც გადაიბეჭდა.

ჩვენ მხოლოდ აღვნიშნეთ სხვა და სხვა ნაწერები და გამოკვლევანი ნ. ხიზანაშვილისა. გაკვრით დავახასიათეთ მისი ლიტერატურული საქმე დაწვრილებით განხილვა და დაფასება ნ. ხიზანაშვილის სალიტერატურო და სამეცნიერო მოღვაწეობისა-კი ჩვენზე უფრო მცოდნეთათვის დაგვითმია.

გ. ყ.

გრიგოლ ვოლსკი

(ნეკროლოგი).

5 ღვინობისთვეს ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გრიგოლ ვოლსკი. ქართველ მოღვაწეთა მცირედ გუნდს მოაკლდა ერთი შესანიშნავი მებრძოლი, ქართველ ხალხის ბედნიერებისათვის პირნათელი და შეუდრეკელი მებრძოლი.

განსვენებული ეკუთვნის გასულ საუკუნის მეოთხმოცე წლების მოღვაწეთა გუნდს. დაასრულა ქუთაისის გიმნაზია, საიდანაც მეოთხმოცე წლების დასაწყისში გადავიდა მოსკოვის უნივერსიტეტში. აქ ის გატაცებით იღებდა მონაწილეობას მაშინდელ სტუდენტთა მოძრაობაში. მაშინ ის იყო რეაქციის იწყებდა მძვინვარებას. საჭირო იყო აბობოქრებულ შავრაზმულ ტალღას წინააღმდეგობა დახვედროდა და თუ მისი დაძლევა არ მოხერხდებოდა, მაინც რამდენადმე შეეჩერებიათ. გრიგოლ ვოლსკის თაოსნობით მოსკოვში შედგა ქართველთა სათვისტომო ორგანიზაცია, რომელმაც თავიდანვე თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა მოსკოველ სტუდენტობის შორის. ამ სათვისტომოს ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი იყო გრიგოლი.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ განსვენებული დაბრუნდა საქართველოში, რომელიც მას გატაცებით უყვარდა. ხელობით ექიმი, ის ცოტა დროს მისდევდა თავის სპეციალობას, შემდეგ დაანება თავი ექიმობას და მთელი თავისი ძალღონით საზოგადო საქმეებში ჩაება. ეს მოხდა გასულ საუკუნის მეოთხმოცდაათე წლებში. ბათომში ის იყო მაშინ შემოღებულ იქმნა ქალაქის თვითმართველობა. ვოლსკის მეცადინეობით ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგა ცხადი პროგრესიული ჯგუფი, რომელიც ცდილობდა გამკვლავებოდა ყველა თვითმართველობის შემხუთველ ძალებს. ამ ჯგუფის მეოხებით ქალაქის ხელმძღვანელებათ გაყვანილ იქმნენ ასათიანი და ვოლსკი, პირველი ქალაქის თავად, ხოლო მეორე გამგეობის წევრად. გამგეობის წევრად ვოლსკიმ დაჰყო თორმეტ წელზე მეტი. ამ დროის განმავლობაში ის მედგრად ებრძოდა ბათომის საზოგადოების ბნელ ძალებს, რომელთა უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელნი იყვნენ „ჩერნომ. ვესტნიკის“ რედაქტორი პალმი და ნოტარიუსი გრიელსკი. ბრძოლა მეტად სამძიმო იყო, ადგილობრივი ადმინისტრაცია მხარს უჭერდა შავრაზმულ მოძრაობას; და მხოლოდ განსვენებულის შეუდრეკელ ძლიერებას შეეძლო არ დაეხია უკან ამ უთანასწორო ბრძოლაში. ვოლსკის გამგეობის წევრად ყოფნის დროს ბათომი გამშვენიერდა, ევროპიულ ქალაქად იქცა: მთელ ბათომში ქუჩები მოკირწყლეს და გაამშვენიერეს, მოაწყვეს ელექტრონის განათება, დაარსდა ბათომის გიმნაზია ქალაქის მიერ აშენებულ სახლში, დაარსდა ქალაქის საავადმყოფო, მოაწყვეს წითელი ბაზარი, ააშენეს ქალაქის თვითმართველობისათვის ახალი სახლი.

ხოლო განსვენებულის მდიდარს ბუნებას არ აკმაყოფილებდა მარტო ქალაქის საქმეები. ის იღებდა მხურვალე მონაწილეობას ყოველივე ქართულ საქმეში. მისი ხელმძღვანელობით ბათომში დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება, რომლის თავმჯდომარედ იყო ვოლსკი. ქართველ მოღვაწეთა მცირე გუნდმა დააარსა აქ ქართული სკოლა, რომელსაც მეტად დიდი კულტურული მნიშვნელობა ქონდა ჩვენთვის. ამავე დროს შეუდგენ ქართულ ეკლესიის აგებას.

უკვე სტუდენტობიდანვე განსვენებული იღებდა მონაწილეობას ქართულ ლიტერატურაში უმწიფარიძის ფსევდონიმით. სწერდა ლექსებს და პუბლიცისტურ წერილებს, სთარგმნიდა მოთხრობებს, როგორც რუსულიდან ქართულად, ისე ქართულიდან რუსულად. მის ლექსებში გამოსჭვივის ღრმა და გულრწფელი სიყვარული დამონებულ ქართველ ხალხისადმი. ვოლსკი იყო გატაცებული პატრიოტი, ხოლო მისი პატრიოტიზმი იყო არა ფეოდალური, არამედ დემოკრატიული. ძლიერი სულის აღფრთოვანებით დაწერილია მისი ლექსი: „შენ გეტრფვი მარად“, რომელსაც დღეს საქართველოს ყოველ კუთხეში იმღერიან

ვოლსკი ღრმა მცოდნე იყო სამშობლო ლიტერატურისა. 1907 წ. ზაფხულში მან თავი დაანება ბათომს, რომლის აღორძინებას მან ამდენი ძალ ღონე შესძინა, და გადმოვიდა ტფილისში, სადაც ქართულ გიმნაზიაში იკისრა ქართული ენის მასწავლებლობა. მაგრამ აქ ულმობელმა სიკვდილმა აღარ დაცალა ხანგრძლივი მუშაობა. ის უდროოდ, როცა ჯერ კიდევ ძალ ღონით სავსე იყო, დაგვეკარგა, დაგვეკარგა კაცი, რომლის შესახებ მტერიც გულახდით იტყვის: ეს იყო სპეტაკი პატიოსნების მქონე, უმწიკვლო მუშაკი საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ვ. ლ.

ერის უფლება.

V.

საუბედუროდ საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში და საზოგადოდ სოციალურ მეცნიერების ლიტერატურაში ერისა და მის უფლებათა შესახებ ისეთი ვრცელი და ღრმა გამოკვლევანი არ მოიპოვებიან, როგორნიც სახელმწიფოსა და მის უფლებათა შესახებ. ამ უკანასკნელ საგანზედ უფრო მეტიც ულაპარაკნიათ და უფრო მეცნიერულადაც, მაშინ როდესაც ერის ნამდვილი მეცნიერული განსაზღვრაც კი არსად მოიპოვება, არა თუ მისი უფლებანი სასწორით არ არიან განსაზღვრულნი. არა მარტო საერთაშორისო სამართლის მეცნიერება არის ცოდვილი ამ მხრით, არამედ მეტად კიდევ ის სოციალისტური ლიტერატურა, რომელიც აღმოცენდა ინტერნაციონალიზმის ნიადაგზედ,—სოციალისტურ ინტერნაციონალიზმისა, რომელსაც თავს უნდა ედვა ერის ცნების განსაზღვრა და გარკვევა მის უფლებათა, რადგანაც მისი პრეტენზიაა ადგილი დაიჭიროს თანამედროვე, არსებულ, ბურჟუაზიულ განწყობილებათა, როგორც საზოგადოებათა შიგნით, ისე საზოგადოებათა გარედ, მათ საურთიერთო დამოკიდებულებათა სფეროში.

გავუგეთ ავტორებს, რას ამბობენ იგინი ერისა და მის უფლების შესახებ.

ლიტტრე ამბობს: „ერი არის კრებული ადამიანთა, რომელნიც ერთს ტერრიტორიაზედ სცხოვრობენ, რომელთაც **შეიძლება ჰყავდესთ და არა ჰყავდესთ საკუთარი მთავრობა** (კურ. ჩვ.), რომელთაც იმდენად საერთო ინტერესები აქვსთ, რომ შეიძლება იგინი ერთს რომელიმე რასას მივაკუთვნოთ“. „ეროვნებათა პრინციპი ის არის, რომ ერთი რასის ნაწილი მიისწრაფის შეადგინოს **პოლიტიკური ორგანიზმი**“ (კურსივი ჩვენია).

აქ უკვე შთანაჩენია ერის უფლებისა, თუმცა მკრთალად თვალ-საჩინო.

ესმენისა და თვით პრ. ნისის აზრით, სახელმწიფო **ერის** (კურსივი ჩვენია) იურიდიული განპიროვნებაა. (A. Esmein, Elèments de droit constitutionnel).

ნისის აზრით (Le droit Jnternational, t I) ერი თემისაგან კლანისაგან წარმოსდგა: თემთა და კლანთა კავშირი იჭერს განსაზღვრულ ტერრიტორიას, რომელზედაც ვითარდება ეროვნული საზოგადოება, საერთო მიზნის განხორციელებისაკენ მიმსწრაფი.

აი, აქ იბადება ევროპისათვის პრობლემათ. ამბობს ნისი, აქვს თუ არა ყოველ ერს დაარსოს სახელმწიფო, ე. ი. აქვს თუ არა მას ერთი უპირველესი უფლებათაგანი, ვიტყვით ჩვენ, ურომლისოდაც იგი ყოველთვის სხვა სახელმწიფოს მონობაში ვარდება.

ბევრი აღიარებს ასეთს უფლებას ერისას. ამერიკელ ბრინტონისათვის ერი უპირველესი ელემენტია კაცობრიობისა, რომლის შემდეგი განვითარება იწვევს **საერთაშორისო განვითარებას**. (The „nation“ as an element in Anthropology).—ყოველ პირველ ყოფილ ხალხს უფლება აქვს შეადგინოს სახელმწიფო, შემოიზომოს ტერრიტორია, და ამ სახელმწიფოს საშუალებით აღასრულოს თავისი ისტორიული მისსია —ამბობს ნისი სხვებთან ერთად. ეროვნული პრობლემა ერთი ერისგან შემდგარ სახელმწიფოს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე მრავალ ერისაგან შემდგარ სახელმწიფოს. ამ პრობლემის მიხედვით ერი უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის საგანი და სახელმწიფოს ადგილი უნდა დაიჭიროს.

როლენ ჟაკმენმა დააყენა შემდეგი პრობლემა: საჭიროა ვიცოდეთ, განსახილველია თუ არა ერი, როგორც უფლებათა და ვალდებულებათა მქონე იურიდიული არსი, როგორც ინდივიდი და სახელმწიფო. (Les principes philosophiqnes du droit Jnternational).

ძველად თვით საზოგადოებაში არ იყო ეროვნული მოძრაობა ისეთი ძლიერი, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში, რადგანაც ერთა შინაგანი კოჰეზია ისეთი მჭიდრო არ იყო მაშინ, როგორც შემდეგ.

უკვე საფრანგეთის რევოლიუციას სრულიად თანამედროვე ეროვნული ხასიათი დაეტყო. საფრანგეთის აზრმაც წამოაყენა პრინციპი ერთა უფლებისა, თავისუფლებისა და თანასწორობისა, მით უმეტეს რომ მთელი ევროპის ერთა რეაქციონური ძალა საფრანგეთის ერს ემუქროდა. რევოლიუციამ განაცხადა, რომ „კაცობრიო-

78

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა წარმოადგენს ერთს დიდს საზოგადოებას, რომლის მიზანიც უნდა იყოს მშვიდობიანობა და ბედნიერება მისი ყველა წევრისა“. „ამ დიდ საზოგადოებაში, განაგრძობდენ რევოლიუციონერები, **ხალხებსა** (ე. ი. ერებს. B) (კურს. ჩვენ) და სახელმწიფოებს აქვსთ თანასწორნი ბუნებრივნი უფლებანი და იმავე სამართალს ექვემდებარებიან, როგორისაც ინდივიდები, **მაშასადამე არც ერთს ხალხს არა აქვს უფლება შეესიოს სხვის საკუთრებასა და წაართვას თავისუფლებაო“.** (კურს. ჩვ.).

პოლ ლე ხერი ამბობს (Jntroduction à un cours de droit Jnternational): „საზოგადოებრივ ჯგუფებს ჰქონდათ უფლება თავიანთ ბედის განხორციელება ისეთ პოლიტიკურ წყობილებაში ენახათ, რომელნიც გაიარჩეოდა იმ საზოგადოებრივ ორგანიზმებისაგან, რომელთანაც ისინი შეკავშირებულნი იყვნენ. მათ ჰქონდათ უფლება შეერთებოდენ ან იმ სახელმწიფოს, რომლისადმი ბუნებრივ სიმპატიას ჰგრძობდენ, ან როდესაც ასეთს სახელმწიფოს ვერა ჰპოულობდენ თანახმად თავიანთ მისწრაფებისა, **განთავისუფლებულიყვნენ და თავისთვის შეექმნათ საკუთარი პოლიტიკური ორგანიზმი.** (კურს. ჩვ).

ნისის სიტყვით, ვენის კონგრესზედ გამარჯვებულმა რეაქციამ პირდაპირ ფეხით გასთელა ერის უფლება, უარ-ჰყო ერთა მისწრაფებანი, პირველად თანამედროვე ხანაში პირდაპირ დაურიგეს გამარჯვებულთ 33 მილიონი ხალხი. ამან ისეთი ძლიერი ეროვნული იდეა დაჰბადა, მოჰყავს ნისს ლაველეს სიტყვები, რომელიც სიძლიერით მე-XVI საუკუნის რელიგიოზურ აღფრთოვანებას უდრიდა. ამან განათავისუფლა საბერძნეთი, სერბია, რუმინია, ბოლგარია, შეაერთა გერმანია და იტალია, აამხედრაავსტრიისა და ოსმალეთის ხალხები, დაჰბადა პანგერმანიზმი და პანსლავიზმიო.

პირველი მეცნიერი, რომელმაც მეცნიერულად განიხილა ეროვნული უფლების პრობლემა, უკვე ხსენებული იტალიელი მანჩინია, რომელიც ნეაპოლიდან განაძევეს და რომელიც სარდინიის მთავრობამ ტურინის უნივერსიტეტის კათედრაზედ მიიწვია 1850 წელს სამართლის სასწავლებლად. ეს ისეთი დრო იყო, როცა იტალიას მახვილი ჰქონდა აღებული, თავ-განწირულად იბრძოდა, მთელი ევროპა კი ამხედრებული იყო მეტტერნიხის პრინციპის წინაამდეგ—რაც სახელმწიფოებს აქვსთ, იგი ხელ-უხლებელია და სიტყვა „იტალიას“ არავითარი პოლიტიკური აზრი არა აქვსო. პროგრესსისტი აზრითა და მოყვარე თავის დიადი სამშობლოსი, რომელსაც შეიძლება ყველაზედ მეტი უფლებაც ჰქონდა საკუთარ სახელმწიფოს დაარსებისა და ეროვნული თავისუფლების, მანჩინი გამოესარჩლა საზოგადოდ ერის უფლებასა და დაიარა იგი მიუხედავად იმისა, რომ რომელიმე ერს შეიძლება არა ჰქონოდა სახელმწიფო; მისი აზრით სწორედ ისეთ ერს, რომელსაც არა ჰქონდა სახელმწიფო და სხვა სთელავდა მის მიწა-წყალსა, უფლება ჰქონდა სახელმწიფოს დაარსებისა, რომ ეს უფლება დაცულ-ყოფილიყო. მისთვის საერთაშორისო სამართალი უნივერსალური სამართალი იყო, ერის იდეა იყო ელემენტარული, სახელმწიფოს იდეა კი მისგან უბრალო წარმომდგარი იდეა ამიტომაც ერი უნდა ყოფილიყო საგანი საერთაშორისო სამართლისა და არა სახელმწიფო.

ამ მიზნით იკვლევდა იგი თეორიულად ერის არსებასა. ტერრიტორია, რასა, ენა, ზნე ჩვეულება, სჯული, ისტორია —აი რა ჰქმნიდა ერის სხეულსა, რომელსაც ასულდგმულებდა შეგნება საკუთარი ეროვნებისა, **ეროვნული თვითშეგნება,**—გრძნობა, რომელიც ერს შიგნით აწესრიგებს და გარედ ამოქმედებს, როგორც ერთს მთელს პიროვნებასა. საჭიროა ეს ზნეობრივი ერთობა, საერთო აზრი, უმაღლესი იდეა ეროვნებისა. ერი მისთვის არის ამგვარად: „ადამიანთა ბუნებრივი საზოგადოება, რომელთაც აქვსთ ერთობა ტერრიტორიისა, შთამომავლობისა, ზნე-ჩვეულებათა ენისა, თანახმად მათი საერთო ცხოვრებისა და საზოგადოებრივ შეგნებისა“. მისთვის დაცვა და განვითარება ერისა არ იყო მხოლოდ უფლება, არამედ იურიდიული მოვალეობა. იგი პირდაპირ ამბობს: **„არსებობს მხოლოდ ერთი საგანი, ერთი პიროვნება საერთაშორისო სამართლისა,—ერი“ო** (კურს. ჩვ.). „**რაციონალური საზღვარი ყოველი ერის უფლებისა არის სხვა ერები; გარანტია საერთაშორისო სამართლისა ყოველი ერის დამოუკიდებლობის პატივისცემაში და აღიარებაშია.** მისთვის უმაღლესი მიზანია ჯანბატისტა ვიკოს „**ერთა კაცობრიობის შექმნა**“ [1]) (კურს. ჩვ.). (Professore Pasquale Stanislao Mancini: Della nazionalitá come fondamento del dritto delle genti etc.).

ბლიუნჩლი თითქმის ეთანხმება მანჩინის ერის განსაზღვრაში, მაგრამ რაც ერია მანჩინისათვის, იგი ბლიუნჩლისთვის ხალხია. ხოლო ერი მას უსახელმწიფოდ ვერ წარმოუდგენია. მაგრამ განა საქმე სიტყვაა. მაშინ როდესაც მანჩინისათვის ერის დაცვა და განვითარება **არა თუ უფლებაა, არამედ მოვალეობაც კი უნივერსალური სამართლისა,** ბლიუნჩლი ამბობს: „**არა არს ერი უსახელმწიფოდო**“. „ერი გვიჩვენებს, რასაკვირველია,—ამბობს ბლიუნჩლი,—სულიერ ერთობასა, ხასიათისა, ენისა და ზნე-ჩვეულებათა ერთობასა, **როდესაც იგი ერთობით დამყარებულია ერთ ხალხზედ.** (კურს. ჩვ.). მაგრამ იმ ერს, რომელიც შესდგება სხვა და სხვა ხალხისაგან, ან ხალხთა ნაფლეთებისა.

---

[1]) E. Nys, Le droit Jnternational, p. 343 et seq.

78

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან, ნაკლები ერთობა აქვს, ვიდრე თვით ხალხსა. ერს ყველაზედ უფრო ახასიათებს სრული ერთობა სამართლისა, მონაწილეობა მმართველობაში, ნიშნი თავის ერთიანობის, ნების გამოხატვისა და მისი საქმედ ქცევისა, ის ორგანოები წეს-წყობილებისა, რომელიც მას აქვს, ერთი სიტყვით საზოგადოებრივი და იურიდიული პიროვნება". (Thèorie gènérale de L'Etat). აქ ცხადია, რომ ბლიუნჩლი ერსა და სახელმწიფოს ერთმანეთში ადრევს. მისთვის ერი და სახელმწიფო ერთი და იგივეა, ხოლო ხალხი ის არის, რაც ჩვენთვის ერი. მაგრამ უბედურება ეს კი არ არის, უბედურება ის არის, რომ მას არა სწამს პირველის უფლება, არამედ მეორესი. რადგან ერთხელ ოდესმე სხვა და სხვა ხალხები (ერები) ერთი უფლების ქვეშ მოქცეულან, ამიტომ მათ ერი (სახელმწიფო) შეუდგენიათ, ე. ი. იურიდიული პიროვნება, და არ არის საგანი საერთაშორისო სამართლისა გარეშე ასეთის პიროვნებისაო. ის კი ავიწყდება პატივცემულ ავტორს, რომ არსად არა ხდება, რომ ერთი სახელმწიფოს ხალხები თანასწორად იღებდნენ მონაწილეობას მართვა-გამგეობაში, თანასწორად იჩენდნენ ნებასა და საქმედ აქცევდნენ მას. ისიც ავიწყდება, რომ სხვა ერის იურიდიული ნორმებით დაჭერილი „ხალხი" თვით არის პიროვნება, რომელსაც უფლება აქვს ახდილი „ერის" მიერ, და ამ პიროვნებას უნდა მოიპოვოს იურიდიული პიროვნებაც, რომ სწორ-უფლებიანი წევრი გახდეს საზოგადოებათა საზოგადოებისა. ამიტომაც არის, რომ „ხალხები" არასოდეს არ კმაყოფილდებიან „ერის" ნაწილად ყოფასა და „ერობას" ცდილობენ,—ამაში გამოიხატება მათი ნების გამოჩენაც და საქმედ ქცევაც უპირველეს ყოვლისა.

ყოველ შემთხვევაში ბლიუნჩლი არსებულ სახელმწიფოებს აღიარებს საერთაშორისო სამართლის საგნად, საერთაშორისო სამართალიც მისთვის მოქმედი სამართალია, რომელიც მარტო სახელმწიფოთა, **უკვე სუვერენ** სახელმწიფოთა შორის განწყობილებათ აწესრიგებს, და არა იდეალური, უნივერსალური სამართალი, რომელმაც **მოვალეობად** უნდა გაიხადოს ერთა (ხალხთა) დაცვა და განვითარება, ამ ბუნებრივ სოციალურ ორგანიზმთა საერთაშორისო სამართლის სფეროში შეყვანა თანასწორობის პრინციპის სახელით. ბლიუნჩლი პირდაპირ ამბობს: „ჩვენც (მანჩინისთან ერთად) აღვიარებთ ერებს, როგორც რასიულად და კულტურულად ისტორიულ საზოგადოებათა, რომელთაც უნდა განაცხოველონ სახელმწიფონი ეროვნული სულით, და ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე სახელმწიფოთა არსების ხასიათი უპირველეს ყოვლისა ეროვნულია. მაგრამ სანამ ერები ხალხებად არ იქცევიან და **სანამ სახელმწიფოს სახით კანონიერ სხეულად არ გარდაიქმნებიან, ისინი ვერ წარმოადგენენ იურიდიულ ძალასა.** მათ აკლიათ ერთობა ნებისა, და ის ორგანოები, რომელთაც **ნება უნდა გამოიჩინონ. ეს ორგანოები მხოლოდ სახელმწიფოშია.** საერთაშორისო სამართალი რომ ეროვნების ელასტიურ საფუძველზედ იყოს ნამდვილად დამკვიდრებული, და არა სახელმწიფოს მაგარ საფუძველზედ, იგი ყოველივე ძალას დაჰკარგავდა, მას აღარც აღიარებდნენ და აღარც პატივსა სცემდნენ". (Le droit Jnternational codifiè). აქ უკვე უკუღმა ესმის ბლიუნჩლის „ერი" და „ხალხი", ვიდრე ზემოდ.—აქ პირდაპირ არის აღიარებული—ძალა აძლევს ერს უფლებას საერთაშორისო სამართლის სფეროში შესვლისას, და არა თვით სამართალი იღებს საზოგადოდ ერს თავის სფეროშიო. აქ პირდაპირ ძალაზეა დამყარებული საერთაშორისო სამართალი, და არა საერთაშორისო სამართალია შემზღუდველი ძალისა, რომელიც შეიძლება უსამართლობას სჩადიოდეს. და რამდენს სჩადის **სახელმწიფოთა** ძალა ასეთს უსამართლობას! ამას თვით ბლიუნჩლიც გრძნობს და ერთ ადგილას ამბობს—ჩვენ ვაღვიარებთ სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევის საჭიროებას, **საერთაშორისო სამართლის სახელით,** როდესაც ადამიანის უფლებაა შელახული რომელიმე ეროვნების სახითაო!..—ყოველ შემთხვევაში ბლიუნჩლის საერთაშორისო სამართალი დიამეტრალურად წინააღმდეგია მანჩინის სამართლისა, რომელიც იდეალურია და „სამართლიანი სამართალი" (Richtiges Recht, როგორც ამბობს შტამლერი). ამ მხრით როგორ მაღლა სდგას მანჩინი ბლიუნჩლიზედ, თუ გინდ იმითიც, რომ მისი სამართალი უახლოვდება ნამდვილ სამართალს, საზოგადოებას შიგნით რომ ცდილობს იმოქმედოს და რომელიც უკვე ცდილობს გამოჰყოს და თითქმის ერთმანეთს დაუპირდაპიროს ძალა და სამართალი დამცველი სუსტთა, დამცველი თავისუფლებისა ძალის წინააღმდეგ. ბლიუნჩლის სამართალი კი ნამდვილ პირველ-ყოფილ სამართალს უახლოვდება, რომელიც მხოლოდ ძალიდან გამომდინარეობს. ეს არც საკვირველია. როგორც ათასჯერ გვითქვამს, უბრალო სამართალი უხსოვარი დროთაგან არსებულ საზოგადოებათა მიერ შექმნილია, საერთაშორისო კი შედარებით გუშინდელი, და როდესაც ინდივიდი უფრო ზნეობრივია მთელ საზოგადოებაზედ, ისე საზოგადო სამართალი უფრო სამართლიანია საზოგადოებათა საზოგადოების სამართალზედ.—აღიდე მახვილი, განითავისუფლდი, დაარსე სახელმწიფო,—სამართალიც მაშინ შენს მხარეზე იქნებაო, გვეუბნება ბლიუნჩლი ჩაგრულ ერთ. მანამ კი სამართლისგან დაცვას ნუ მოელით. რომ გაგწყვიტონ მაინც, ჩვენ უფლება არა გვაქვს შევესიოთ სხვა სახელმწიფოს შინაგან საქმეებში, რადგანაც ეს მისი უფლების შელახვა იქნებაო (ესე იგი ჩემი გაწყვეტა!) თუმცა ოდნავ, ხან და ხან, ისიც სუსტ სახელმწიფოთა ვერაგობის დროს, ამოვიღებთ ხმას „ადამიანის უფლების" დასაცველად, ისიც მაშინ, როცა, დიდ-სახელმწიფოებს რაიმე სახრავი ეგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებათ ამ სხვის სახელმწიფოში!—რა იქნებოდა, რომ უბრალო სამართალი ამასავე გვეუბნებოდეს!—თვით საზოგადოება შეუძლებელი იქნებოდა, ისე აირეოდა ყოველივე; ეს იქნებოდა მკლავძლიერთა საზოგადოება, პირველყოფილი, ველური კიდევ უარესი,—რადგანაც იქაც არ აღიარებს ჩვეულებითი სამართალი ასეთ პრინციპებს.

მანჩინის გარდა სხვაც ბევრი იყო რომ აღიარებს ერის უფლებანი მსგავსად ადამიანის უფლებისა უზენაეს სამართლის სახელით დარღვევა ამ უფლებათა უფლებას აძლევს ერებს აჯანყებისა და წინააღმდეგობისასო! მაგრამ ეს ხომ საერთაშორისო სამართალი არ არის, და აჯანყებისა და წინააღმდეგობის უფლება რა უფლებაა, თუ იგი გამარჯვებით არ დაგვირგვინდა. დამარცხებისას ხომ ბატონს **უფლება** აქვს მთელი ერის ძირ ან ფესვიანად ამოგდებისა, და საერთაშორისო სამართალიც უკანონებს მას ამ უფლებას, თუ იგი ძლიერია.

ერის უფლებათა თეორიამ ბლუნჩლის წინადაც და შემდეგაც დააფრთხო იურისტები და სახელმწიფო კაცები. საკანონმდებლო კრების 14 მარტის 1867 წლის სხდომაზედ ტიერმა ეს თეორია ევროპის დამღუპველად გამოაცხადა და სთქვა: „თუ ეროვნების დოქტრინა რასმე ნიშნავს, მხოლოდ შემდეგს: საჭირო იქნება, რომ მთელი ევროპა, ან უმეტესი ნაწილი ევროპისა შესდგებოდეს ამიერიდან ერთი რასისაგან, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკეთაგან... ასეთ პირობებში არც ერთს სახელმწიფოს არ ექნებოდა უფლება არსებობისა“ *).

შვეინფურტი ამბობს: „გეოგრაფიულის თვალსაზრისით, ადამიანი თავის იდეებითა და ვნებით, თავის მიდრეკილებით და ზნე-ჩვეულებით არის მხოლოდ „აკცესუარი“ (sic! B.) დედამიწისა; იგი ბუნების შემოქმედებითმა ძალამ განაცხოველა და განასულიერა, როგორც მცენარე, რომელიც მიწამ აღმოაცენა... იდეა ეროვნებისა უნდა დაემორჩილოს იდეას გონებისას, გონება კი კაცობრიობის საერთო საუნჯეა“-ო.—პირველი ნაწილი ამ ამოწერილისა ჩვენი აზრით, სრული სიცრუეა, ადამიანი დედა-მიწის ისეთი „აკცესუარი“ არ არის, როგორიც მცენარე. მეორე ნაწილი კი არაფერს შუაშია.—აქ სამართალზედ, უფლებაზეა საგანი და არა იმაზე, თუ რომელი იდეა რომელს უნდა დაუმორჩილდეს. ამავე ფორმულით რატომ სახელმწიფოც არ უნდა დაუმორჩილდეს იმავე იდეას გონებისას?—და მერმე რა მნიშვნელობა აქვს ამ ს საერთაშორისო სამ რთლისათვის და მის საგანთა გამორკვევისათვის?

რასაკვირველია, მანჩინისა და სხვათა იდეამ პრაქტიკაში ვერ გაიმარჯვა: ბლუნჩლისა და მის მსგავსთა თეორიაა დღეს განხორციელებული, მაგრამ თვით საკითხი რომ იყო წამოყენებული მეცნიერებაში ერისა და სახელმწიფოს შესახებ საერთაშორისო სამართლის თვალთსაზრისით,—ესეც დიდი პროგრესია. დიდი პროგრესია იმიტომ, რომ დღეს სახელმწიფოებრივ საერთაშორისო სამართლის მხრითაც კაცობრიობა არ არის მოწესრიგებული ჯერ კიდევ სრულიად და საგსებით, და მხოლოდ დიდთა და ძლიერთა სახელმწიფოთა ორგანიზაცია, მათი საურთიერთო სამართალი და ვალდებულებანი და მათი ბატონობა მიაჩნიათ მთელი კაცობრიობის ორგანიზაციად. მომავალში კი, როდესაც კაცობრიობის ორგანიზაცია წინ წაიწევს, არა თუ ერს,—უმცირესს სოციალურ ინდივიდთა უფლებაც კი იქნება აღიარებული. ამისი მთანაჩენი უკვე სჩანს ჯონ კასტონის განცხადებაში 1885 წელს. ყოველ შემთხვევაში: 1) თვით არსებობა თანამედროვე სახელმწიფოთა-შორისო სამართლისა ძველ დიდთა და პატარა სახელმწიფოთა უწესრიგობისა და უსამართლობის ნაცვლად, 2) აღიარება ამ სახელმწიფოთა თანასწორობისა მიუხედავად იმისა—დიდი იქნება სახელმწიფო თუ პატარა სუსტი თუ ძლიერი,—თუმცა კი უფრო თეორიულად, 3) მიღება საერთაშორისო სამართლის მიერ ყველა ერისა, რომელიც თავს გაინთავისუფლებს მჩაგვრელ სახელმწიფოსაგან, თუმცა ეს უფლება ერისა არ გამომდინარეობს თვით მისი არსებობის უფლებისაგან, არამედ მისი ძალისაგან და ძალით ნაშოვნ დამოუკიდებლობისაგან, 4) აღიარება რამდენიმე მეცნიერთაგან მაინც იმ ჭეშმარიტებისა, რომ ერი და არა **სახელმწიფო** უნდა იყოს ერთად ერთი საგანი საერთაშორისო სამართლისა, ერთად ერთი იურიდიული პიროვნება უნივერსალურ სამართლის წინაშე,—ყოველივე ესე დიდი პროგრესია ერის უფლებას აღიარების მხრით, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც არა ვთქვით, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აღსავსეა შინაგანი წინააღმდეგობით, პრაქტიკული უძლურებითა და ამიტომაც უმეტეს შემთხვევაში უარ-მყოფელი ნამდვილ, იდეალურ საერთაშორისო სამართლისა.

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ მეცხრამეტე საუკუნეში ერის უფლებამ. ეს ნაბიჯი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სფერაში იყო გადადგმული, და, საკვირველია, რომ იგი გაცილებით უფრო ბუნდოვანად არის ახსნილი სამართლის თვალთსაზრისით, ვიდრე მომქმედ სამართლისაგან გადადგმული ესევე ნაბიჯი. შეიძლება თვით ერებსაც მეტი იდეიური წინააღმდეგობა ხვდებოდათ სოციალისტურ ინტერნაციონალიზმის მხრით, ვიდრე საერთაშორისო მეცნიერების მხრით, და ვინ იცის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო განხორციელება ასეთის სოციალისტურის ინტერნაციონალიზმისა, იქნებ ერებს მეტი ბრძოლაც დასჭირდებოდათ ამ საშინელი დესპოტიის წინააღმდეგ, ვიდრე მათ დასჭირდათ მთელი საუკუნის განმავლობაში თანამედროვე სახელმწიფოთა წინააღმდეგ!

ამ სოციალისტურ ინტერნაციონალიზმზედ და ერის უფლებაზედ შემდეგ.

Báton.

*) საკვირველია, რომ ბევრს ჩვენსა და სხვა ქვეყნის საციალ დ.-ებს ერის უფლების საკითხში ყოველთვის მეტერნიხი, ტიერი და სხვა უდიდესი რეაქციონერები ჰყავსთ გვერდში, როგორც დღეს ავტონომიის და ავტოკეფალიის საკითხში ვოსტორგოვი, პურიშკევიჩი და მსგავსნი. ხოლო მანჩინი, რენანი და სხვანი—არას დროს!

გამომცემელი მიხ. ჯავახიშვილი.